

# ვერთა ნუნეკი

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



მარტი 1948 N 3



# პ. ი. თ. ნ. ე. რ. ი

საქართველოს ალკაცენტრალური კომიტეტის  
შოველთვიური საბავშვო, შუხანალი

Ежемесячный детский журнал  
Центрального Комитета  
ЛКСМ Грузии

(на грузинском языке)

ПИОНЕРИ

გამომცემლობა „კომუნისტი“

რედაქციის მისამართი:

თბილისი ლენინის ქ., № 28,

ტელეფონი № 3-81-55





# პარკიზანი დედა

პანბანბ გორბანელი

1.

ქმარი მოუკლეს, ვაფი მოუკლეს.  
რა დააშავა, ნეტავ?  
ნუგეზად ერთი დარჩა ასული,  
ისიც მოსტაცეს დედას.  
არ გაუშვიათ დაულეწავი  
უკანასკნელი თეფშიც,—  
თმა გაწეწილი დგას და ქვითინით  
ნივთებს იხუტებს მკერდში.  
— შეილო, სადა ხარ, ჩემო ასულო,  
ნუთუ გაგწირა ბედმა,  
ნუთუ უბედურს შენი ცრემლები  
არ დამეფრქვევა ზედა?..  
დადის ბარბაცით, ხან გაჩერდება,  
ხან მიეყრდნობა წნორებს,  
და ნანგრევები გადარუჯული  
მის ოხვრას იმეორებს.  
უცებ შეკრთება, ნაცარს აიღებს,  
თვალს გადაავლებს სივრცეს,  
ნაცარს თავსაფრის ყურში გამოკრავს,  
მერე შეფთიცებს მტკიცედ.  
სანამ არ მოსპობს მტერს სატიალეს  
ახლოს ატარებს გულთან,  
რომ მხნედ იყოს და არ ასვენებდეს  
შურისძიება მუდამ.

2.

სამჯერ მივიდა ლიანდაგებთან,  
სამჯერ შეეხო ლითონს,  
მის სპეტაკ ხელებს ვინმე მოკლა  
ვერ გაებედა თითქოს,—

მაგრამ ნაცარი,  
სახლის ნაცარი—  
წინ ეძახოდა მწყურალად,  
და უღვივებდა შურისძიებას  
გულში ფარული ძალა.  
თითქოს ქვეყანა სმენად გადიქა,  
შესწყდა შრიალი ხეთა,  
როს ქვეშ შეუწყო ნაღმი ლიანდაგს  
ამხედრებულმა დედამ;  
როს ელვასავით ცხენთან მიიჭრა,  
ხელი წაავლო ფაფარს  
და მთვარესავით წელში მოხრილი  
კლდეს მიეფარა სწრაფად.  
ახლოვდებოდა შავი ვეშაპი  
ხმაურითა და ქმენით,  
დედამ შესწყვიტა სუნთქვა, ხეებთან  
ყურებსა ცქვეტდა ცხენი.  
უცებ გაისმა გრგვინვა-ქუხილი,  
ხიდს გაეკიდა ალი,—  
თუმცა ბლავილით ფანჯრებს მოასკდა  
მტრის სისხლიანი ჯარი,  
მაგრამ ამაოდ, ვინ იფიქრებდა  
მათ სატილო ბედზე,  
ცა ელვარებდა და ეშელონი  
იღწებოდა კლდეზე.  
მთიდან ველებზე ვაშად გაიქრა  
გახელებული ქარი,  
ცხენს სიხარულით დედამ შემოჰკრა,  
უციმციმებდა თვალი.  
ის არ იცოდა, რომ დაიღუპა  
მისი ლამაზი ქალიც,  
ბერმანიოში ფაშისტ ჯალათებს  
ტყვედ რომ მიჰყავდათ ძალით.

01574





# ძვირფასი საჩუქარი

მოთხრობა

— იქით მიდექი, ჩინო! რა ვქნა, რა მოუ-  
სვენარი ხარ! დეილა მართა, მომეხმარეთ,  
თორემ მთლად ჩამოსწოვა რძე.

შეწუხებულ ფოგონას პატარა, \* ოქროს  
ფერი ჩინო დიდრონი, მწვიდი თვალებით  
გახედავდა ხოლმე და ხარბად იესებდა პირს  
გემრიელი რძით.

დეილა მართა მიეშველა თინას, სბო მომო-  
რებით დააბა და ძროხა ბოსლიდან ფარეთ  
გაუშვა.

გრძელ ბაგაზე ორმოცამდე ჩათქვირებუ-  
ლი სბო ება.

როცა თინიკოს დედა მოსკოვს მიიღოდა  
წარჩინებულ კოლმეურნეთა შეკრებაზე, დე-  
ილა მართას და თინიკოს ჩააბარა საყვარელი  
პირუტყვები.

— აბა თქვენ იცით, როგორ მოუვლით  
ძროხებს და ჩემს ნებიერა ხბორებსო.

პატარა თინიკოს დედის გამოზრდი-  
ლმა ხბორებმა-პირველი ჯილდო მიიღეს სა-  
კავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.  
თინიკოს დედა თავისი შრომით ცნობილი ქა-  
ლია. სამაგალითოდ უვლის პირუტყვს, ერთი  
ხბო რა არის, ისიც ავად არ გახდომია, სიკ-  
ვდილიანობა კი აბა რა სახსენებელია!

თინიკო დედის მარჯვენა ხელია. სკოლი-  
დან დაბრუნების შემდეგ, გაკვეთილებს მორ-  
ჩება თუ არა, მაშინვე თავის საყვარელ ბო-  
ჩოლებთან მიიბუნს და დედას ეხმარება  
მათ მოვლაში.

გაზაფხულზე, როცა დედა ავად გახდა,  
თინა ისე კარგად უვლიდა ხბორებს, რომ  
კოლმეურნეობის გამგეობის მადლობა დაიმ-  
სახურა.

\* \* \*

თინიკომ ბოსლის კარები გააღო, ხბორები  
კუნტრუმით გავარდნენ ამწვანებულ ეზოში.

დახტოდნენ, ერქინებოდნენ — ღონეს უსინ-  
ჯავდნენ ერთი-მეორეს. თინამაც წიფნი აიღო  
და იქვე მწვანეზე გამოიღო ფარდაზე წამო-  
ცორდა, მის გვერდით პატარა, ბუთქუნა ჩი-  
ნომ მოიკალათა.

— რა იყო, ჩინო, რატომ არ დანავარდობ?!  
— ეკითხებოდა თინა და ხელს უსვამდა  
გაბზინებულ ბალანზე. ჩინო თითქოს მიხ-  
ვდო, რას ეუბნებოდა მისი მეგობარი, წა-  
მოდგა, დაიხია, უკანა ფეხები განზე გადა-  
ერთი შეიკუნტრუმა და გამოქანებულმა თი-  
ნიკოს ჯერ დრუნხი ამოჰკრა, მერე კი ერთი  
ციცქნა რქებიც მოიშველია.

— ვაიმე, ჩინო, მაჯობე, მომერე! —  
აკისკისებულმა გოგონამ ხბოს კისერზე ხელი  
მოხვია და ალერსი დაუწყო.

— თინიკო! — მოესმა მეზობლის გოგოს  
ძახილი, — სამახარობლო ჩქარა, დეილა სო-  
ფიო ჩამოვიდა.

თინა წამოხტა, აფუსფუსდა, სიხარულისა-  
გან რას აკეთებდა არ იცოდა.

— დეილა მართა! ვეთაყვა, მე შინ გა-  
ვიქცევი, დედა ჩამოსულა.

მართას სახეზე ღიმილის შუქი გადაეფინა.

— წადი, თინიკო, წადი/და მეც მალე მო-  
ვალ. — უთხრა დეილა მართამ.

სახლის წინ თინამ აუარებელი ხალხი დაი-  
ნახა. მათ შორის სახეგაბრწყინებული დედა  
იდგა. თინას იგი ისე მშვენიერი მოეჩვენა,  
თითქოს გაზრდილიყოს კიდევ. თინიკოს  
შერცხვა, გაჩერდა, ვერ გადაეწყვიტა მისუ-  
ლიყო თუ არა დედასთან, მაგრამ ძია გიორ-  
გიმ დაინახა და შესძახა:

— ჩვენი პატარა დამკვრელი მობრძანდა,  
აბა, ვზაო...

თინამ მიიბრძინა დედასთან და გადაეხვია.

ცოტა ხნის შემდეგ მთელი ხალხი სულგანაბული უსმენდა სახელოვან კოლმეურნე ქალს — სოფიო მამულაშვილს.

— მოსკოვში რომ ჩავედით, მესამე დღეს გვითხრეს, დღეს ამხანაგ სტალინს შევხვდებითო. კრემლის დიდ დარბაზში შევიკრიბეთ საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხის წარჩინებული ადამიანები, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით, ისე დაემეგობრდით. ვუზიარებდით ერთმანეთს გამოცდილებას, ვსაუბრობდით, მაგრამ თვალი ყველას კარებისაკენ გვეჭირა — ბელადის ხილვის მოლოდინში.

კარები ფართოდ გაიღო. ყველანი ფეხზე წამოვდექით. დარბაზში შემოვიდნენ ამხანაგი სტალინი და მთავრობის წევრები. გაისმა ტამის ხმა, შეძახილები.

ო... ო.. რა ახლობელი იყო ის ყოველ ჩვენგანისათვის. ის ესაუბრებოდა ყველას, იცინოდა, ხუმრობდა... მასთან მდგარმა ლავრენტი ბერიამ მიცნო და ჩემსკენ წამოვიდა, ხომ გახსოვთ, რამდენი წლის წინათ იყო ჩვენს კოლმეურნეობაში და მაინც მიცნო. მე დავიბენი, არ ვიცოდი რა მეთქვა, მაგრამ აი, მომესმა მისი ხმა:

— როგორ ცხოვრობთ, სოფიო ნიკოლოზის ასულაო! — და ხელი გამომიწოდა. მესაუბრა, გამომიკითხა ჩვენი კოლმეურნეობის ამბები. მე ვღელავდი, სიხარულით რას ვამბობდი არ ვიცი.

— ახლა ვინ დატოვეთ თქვენს ხბორებთან? — მკითხა ბოლოს მან. რასაკვირველია მართა დავასახლე და როცა ჩემს თინიკოზე ვუამბე, გაიცინა.

— დახე იმ კუდრაჭა გოგონას, როგორ სწავლობსო, — მკითხა.

— ფრიადოსანია მეთქი, — ვუბასუხე. — ასე არ არის თინიკო? — შეეკითხა დედა. სახეგაბრწყინებულ თინას.

თინამ მორცხვად თავი დახარა. — მთორე დღეს, — განაგრძო სოფიომ, — როცა ძვირფასი საჩუქრები მივიღეთ,



ლავრენტი პავლეს-ძემ თავისი ხელით აიღო ეს საათი და მითხრა:

— აი, ეს თქვენს ფრიადოსან და შრომისმოყვარე თინიკოს ძია ბერიასაგან, გაიზარდოს სახელოვანი ქალიო.

სიხარულისაგან ფრთა შემესხა, ვღელავდი... დიდი მადლობა მოვახსენე ჩემის მხრივ და თინიკოს მაგიერადაც.

ხალხი სულგანაბული უსმენდა სოფიოს, თინიკოს თვალები ვარსკვლავებვით უციმციმებდნენ.

სოფიომ ლამაზი ყუთი აიღო, ზამბარაკს თითი დააჭირა, ყუთი გაიხსნა და იქიდან ერთი პატარა ლამაზი საათი ამოიღო და თინიკოს გადასცა.

ყველანი ახმაურდნენ, შემოეხვივნენ გოგონას, ულოცავდნენ. ყველას უნდოდა ენახა ბერიას გამოგზავნილი საჩუქარი.

თინიკოს სიხარულისაგან ცრემლები გადმოსცვივდა, დედას გულში ჩაეკრა და აღტაცებით სთქვა:

— მადლობა ძია ბერიას! მე მუდამ მას სოვს მისი მოწოდება — „მოწაფეთა გმირობა — ფრიალზე სწავლაა“. — ვეცდები გავიზარდო სახელოვანი ქალი და ვისწავლო ისე, რომ ძია ლავრენტიმ მითხრას: — ყოჩაღ!





მ ო თ ხ რ ო ბ ა

დილის მზე ოქროსფერ სხივებს აფრქვევდა კავკასიონის ქედს, სწვავდა ლეჩაქივით მსუბუქ ნისლოს. რუხი და თეთრი ღრუბლები აქა-იქ ცაში რჩებოდნენ, თითქოს მზე ვეღარ ასწრებდა ღამით ვარსკვლავებისათვის გამლილ რბილ ქვეშაგების ალაგებას.

შორს, მაღალ მთებში, არწივმა ვაშალა ფრთები და ისე მოხაზა წრე, თითქოს ფრთების ბოლოებით ცას კვალი დააჩნია. სივრცის უჩინარი გზით არწივს მართვი მიჰყვებოდა.

ნავარდობდა დედაარწივი — ხან მალლა ისწრაფოდა, ხან ფრთავაშლილი იდგა ჰაერში და დაბლა იცქირებოდა, ხან კიდევ ფრთების ფარფალით ნელა ეშვებოდა ქვევით. მის ყოველ მოძრაობას იმეორებდა მართვი.

ეტყობოდა დედა მას წვრთნიდა.

არწივმა ძერა შენიშნა, უმაღლესი კლანჭები სივრცე, გზა გადაუჭრა და ძერა კლანჭებში მოიქცია. მაგრამ არწივმა არ მოჰკლა იგი. მალე კლანჭები უშვა და ფრთავაშლილი ჰაერში შეჩერდა. ძერამ იგრძნო თავისუფლება და სწრაფად დაემგა ქვევით, ნახგრევებისკენ, სადაც არა-ერთხელ შეუფარებია თავი. ამ დროს დედაარწივმა ყვილით ანიშნა თავის მართვს, დასდევნებოდა ძერას.

მართვმა არ დააყოვნა. ელვასავით გასრიალდა და ძერას კლანჭები ჩაავლო. მიფრინავდა და თანბლდებოდა. როდესაც მართვი დარწმუნდა, რომ ძერა მკვდარი იყო, მიფ-

რინდა დედაარწივთან და აჩვენა თავისი ნაწადირევი. ამ გამარჯვებისაგან გახარებული მართვი მალლა აფრინდა და სივრცეში გაითამაშა. კარგა ხანს ნავარდობდა და სრიალებდა, თითქოს ციური ოქროს ბრწყინვალეობაში ბანაობსო.


დედაარწივმა კვლავ მოიხმო მართვი, თვითონ დაწინაურდა და შვილი ახალი ბრძოლისათვის მოამზადა.


კავკასიონის ქედის გადაღმა მძიმე გუგუნე გაისმოდა.

სამშობლოს ცაში ძერებივით დაფრინავდნენ მტრის თვითმფრინავები. ისინი მოისწრაფოდნენ კავკასიონის უღელტეხილის გადასალახავად. უჩვეულო ხმაური იდგა მაღალ მწვერვალებთან. თვითმფრინავები ძერებოდნენ ღრუბელთა ფანჯრებში, ღრუბლებისავე გალავნებში იკვლევდნენ გზას.

აი, ერთმა თვითმფრინავმა თავზე გადაუარა დედაარწივს.

იუკადრისა დედაარწივმა, ეს რა ფრინველმა გადაიჭროლა მის თავზე? და ამაყად აფ-





რინდა არწივი ზევით. იგი მიფრინავდა გაოცებული და თავზარდაცემული. სივრცეში უშოკლესი მანძილი გადასჭრა და თვითმფრინავს წინ დაუხვდა. უნდოდა შებმოდა ჰაერში გაჩენილ მეტოქეს და თავდაუზოგავად ეკვეთა ფოლადის ფრინველს.

მყისვე შეწყდა თვითმფრინავის გუგუნი. მოტორი შეჩერდა. მფრინავი დაიბნა, ველარაფერი უშველა მოტორს და გვერდზე დახრილი თვითმფრინავი ქვევით დაეშვა. მაგრამ არწივსაც ფრთები დაემტვრა, მკერდი დაეგლიჯა და მძიმე ქვასავით ჩავარდა.

დედაარწივს თავისი მართვი დაედევნა. მსუბუქად დაფრინდა იმ ადგილას, სადაც დედამისი დაენარცხა. თავისი შავი ბუმბულით შემოსილ ფეხებს კლდოვან ქვებს შორის უხერ-

ხულად მიაბოტებდა. როდესაც დედას მიუახლოვდა, ფრთხილად შემოუარა ირგვლივ დასცქეროდა მის უღონო, დამტვრეულ ფრთებს, სისხლიან ზურგს, რომელზეც არაერთხელ შეუსვამს დედას, აკვირდებოდა ნისკარტს და კლანჭებს, აღმასივით რომ ელავდნენ მტერთან ბრძოლაში.

მართვმა ფრთები შეისწორა, ერთმანეთს შემოჰკრა და მალლა აიხედა. რა ტყუილუბრალოდ გამოჰყოლია დედას! როდესაც მისი მშობელი ძირს დაექანა ეგონა უკან გასაყოლად მოუწოდებდა, მაგრამ ამაოდ, თურმე სამუდამოდ დაცემულა იგი.

დაღონებული მართვი ისევ მშობლიურ ცისკენ გაფრინდა.

# კარგი სწავლით

## ბიოგრაფიკა

ომით ნაგრძნობი წუხილი  
ახლაც თვალს ცრემლით ნამავს;  
ომში წავიდა და შემდეგ  
შინ არ მოსულა მამა.

არ ვიცი, როგორ ჩაუქრა  
შუქი მზისა და მთვარის!  
არ ვიცი, ვინ დაუხუჭა  
ცეცხლში დაცემულს თვალი.

ბევრი ვიდარდეთ, დედიკო,  
მტერიც კარს გვადგა ავი,—  
მაინც მხნედ იყავ, შრომობდი,  
არ შეაჩერე მკლავი.

მზრუნველი ხელით მიღებლი  
სინათლისაკენ კარებს,  
ცდილობდი, არ განმეცადა  
ობლის ნაღველი მწარე.

შენს წუხილს, ჩემს სანუგეშოდ,  
არ დაარქმევდი სახელოს,  
შემომხედავდი და ჩუმად  
გიბრწყინდებოდა სახე.

რა დამავიწყებს შენს შრომას,  
შენს თბილ მშობლიურ ამავს!  
თავს დამტრიალებ და შენით  
დღე ნისლიანი არ მაქვს.

მიყურებ, ვით ნერგს მებაღე,  
როს იმოსება მწვანით...  
რით გაგახარო, დედიკო,  
თუ არა კარგი სწავლით!





1948 წლის 29 ოქტომბერს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირს, ანუ როგორც შემოკლებით ამბობენ, კომკავშირს, თავისი არსებობის 30 წელი უსრულდება. იგი ბოლშევიკური პარტიის უერთგულესი თანამემჩეა კომუნისმის აგებისათვის ბრძოლაში. თქვენ, პიონერები, კომკავშირელთა უმცროსი თაობა ხართ. თქვენი მისწრაფება, სკოლაში კარგი სწავლა და სანიმუშო ყოფაქცევა ამყამად უნდა ემსახურებოდეს იმას, რომ გახდეთ ღირსი ატაროთ კომკავშირელის საამაყო სახელი. ამისათვის კი საჭიროა კარგად იცოდეთ კომკავშირის სახელოვანი წარსული, მისი დიდი ამოცანები. ყურნალი „პიონერი“ დაგეხმარებათ ამ საქმეში, იგი თავის ფურცლებზე გამოაქვეყნებს საუბრებს კომკავშირის შესახებ. ეს თქვენ ხელს შეგიწყობთ კარგად გაეცნოთ იმ ორგანიზაციას, რომლის წევრებად ხდებიან აქტივისტი, შრომაში, სწავლასა და დისციპლინაში მოწინავე ახალგაზრდები, პიონერები და მოსწავლენი.

## საკ. ალკკ

კომკავშირის რაიკომის მდივნის ოთახში მოწიწებით, ცოტა გაუბედავად შევიდა იგი. მდივანმა მას პატარა, ნაცრისფერი წიგნაკი გადასცა, მილოცვის ნიშნად ხელი ჩამოართვა და საუბარი დაუწყო. პატარა გოგონა გატაცებით უსმენს მას, ცდილობს კარგად დაიმახსოვროს კომკავშირელის მოვალეობა. დიახ, იგი მოწინავე იქნება, ხვალიდან უფრო ბეჯითად იმეცადინებს, უფრო აქტიურად ჩაებმება სკოლის საზოგადოებრივ საქმიანობაში, მუდამ იქნება სამშობლოს ერთგული შვილი, ასეთია მისი, საკავშირო ალკკ წევრის, წმინდა ფიცი. რამდენიმე ნაბიჯი კარისაკენ გადადგა და გარეთ გამოვიდა. მხოლოდ მაშინ დააკვირდა წიგნაკს—კომკავშირის წევრობის ბილეთს. იქიდან ლენინი იცქირება—ნაცნობი ჭკვიანური გამომეტყველებით. ბილეთს მსხვილი ასოებით აწერია: „საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი“.

ბევრ თქვენგანს, ალბათ, უნახავს შესანიშნავი კინოფილმი „ზოია“ და ეს კადრიც გაახსენდება. ის გოგონა იყო ზოია კოსმოდემიანსკაია — შემდგომში უშიშარი პარტიზანი, საბჭოთა კავშირის გმირი. მან პირნათლად შეასრულა თავისი ფიცი, დიდ სამამულო ომში ნორჩი სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობას, ჩვენი საბჭოთა ხალხის ბედნიერებას შესწირა. ზოიას კომკავშირული ბილეთი ამყამად ინახება მოსკოვში, გამოფენაზე „კომკავშირი დიდ სამამულო ომში“.

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი (შემოკლებით საკ.

ალკკ) საბჭოთა ახალგაზრდობის მასობრივი ორგანიზაციაა. მის რიგებში მილიონობით ქაბუკი და ქალიშვილი ითვლება. კომკავშირული ორგანიზაციები არსებობენ ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყოველ კუთხეში—კალინინგრადიდან წყნარ ოკეანემდე, ჩრდილოეთის ყინულოვან ზღვებიდან შუა აზიის აყვავებულ რესპუბლიკებამდე. ყველგან, სადაც საბჭოთა ახალგაზრდები ცხოვრობენ და შრომობენ, სკოლებში, კოლმეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, სადაც სამი და სამზე მეტი კომკავშირელია, იქნება კომკავშირული ორგანიზაციები. რაიონების მიხედვით ისინი ერთიანდებიან რაიონის ორგანიზაციებში, რომლებიც თავის მხრივ შედიან საოლქო, სამხარეო ან რესპუბლიკურ ორგანიზაციაში. მთელ საბჭოთა კავშირში არსებული კომკავშირული ორგანიზაციების გაერთიანება კი არის **საკავშირო**. აი, რატომ დაერთო პირველი სამი ასო „საკ.“ შემოკლებულ გამოთქმას—ალკკ.

კომკავშირის წევრად მიიღებიან საბჭოთა ხელისუფლების ერთგული, მოწინავე, შემოწმებული ახალგაზრდები, ისეთები, რომლებიც მზად არიან აქტიურად იბრძოლონ ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის გამარჯვებისათვის, საწარმოსა თუ კოლმეურნეობაში სტახანოვურად შრომობენ, სკოლაში საუკეთესოდ სწავლობენ და იცავენ დისციპლინას. კომკავშირი თავის რიგებში აერთიანებს ყველაზე შეგნებულ და აქტიურ **ახალგაზრდებს** 14-დან 26 წლამდე. აქედან წარმოიშვა ასო—„ა“ შემოკლებული გამოთქმისა—ალკკ.



1924 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა დიდი ლენინი — მსოფლიო პროლეტარიატის ვენიოსი ბელადი. მისი დაკარგვა უდიდესი დანაკლისი იყო საბჭოთა ხალხისათვის, მაგრამ ჩვენი ადამიანები არ შეკრთნენ. ისინი უფრო მტკიცედ დაირაზმენ კომუნისტური პარტიის, ლენინის საქმის უდიდესი განმგრძობის, იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარშემო. ვლადიმერ ილიას-ძის სიკვდილის ცოტა ხნის შემდეგ შესდგა კომკავშირის VI ყრილობა. ყრილობამ დაადგინა მიენიჭოს კომკავშირის ლენინის სახელი. ყრილობამ კომკავშირელი ახალგაზრდების სახელით ბოლშევიკურ პარტიას ასე შეჰფიცა: „აკ სრულიად საკავშირო VI ყრილობა, ღებულობს რა ლენინური კომკავშირის სახელს, ფიცს სდებს: რა დაბრკალებებიც არ უნდა იდგეს ჩვენს გზაზე, როგორი მსხვერპლიც არ უნდა მოგვთხოვოთ, ჩვენ შევასრულებთ ნაკისრ ვალდებულებას, ჩვენ არ დავხრით ლენინის დროშას“. ამ წლიდან კომკავშირის ეწოდება ლენინური. აი რას გვეუბნება მეორე ასო „ლ“ შემოკლებული გამოთქმისა — ალკკ.

მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები, დიდი მოაზროვნენი ბევრს ოცნებობდნენ ისეთ საზოგადოებაზე, სადაც ადგილი არ ექნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას, სადაც მშრომელი ხალხი თვით იქნებოდა თავისი სახელმწიფოს მმართველი. მაგრამ ყოველივე ეს განუხორციელებელ ოცნებად — უტოპიად რჩებოდა, რადგან მათ სწორად არ ჰქონდათ წარმოდგენილი ასეთი საზოგადოებისაკენ სავალი გზები. მხოლოდ დიდმა მეცნიერებმა, კაცობრიობის ბუმბერაზმა ადამიანებმა მარქსმა და ენგელსმა შესძლეს

სწორედ მიეთითებინათ პროლეტარიატისათვის, თუ როგორ შეიძლება მჩაგვრელების დამხობა, ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ბედნიერი ცხოვრების შექმნა. დედნიერ ერთ მეექვსედეზე მშრომელები ჯერ დიდი ლენინისა და შემდეგ დიდი სტალინის წინამძღოლობით უკვე 30 წელიწადზე მეტია, რაც თავიანთ ბედობალს თვითვე განაგებენ, იბრძვიან კომუნისტების აგებისათვის. სწორედ ამ დიად მიზანს ემსახურება სტალინური ხუთწლედები, საბჭოთა ხალხის უშრეტი ძალა და შემოქმედებითი ენერჯია და ახალგაზრდობის ორგანიზაცია კომუნისტურია, რადგან იგი ჩვენს ჰაბუტებს და ქალიშვილებს ზრდის კომუნისტური სულისკვთებით. აი რას ნიშნავს მესამე ასო „კ“ შემოკლებული გამოთქმისა — ალკკ.

კომკავშირი არის უპარტიო მასობრივი ორგანიზაცია, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ახალგაზრდების ნებაყოფლობითი გაერთიანება, კავშირი. ამას ნიშნავს უკანასკნელი ასო „კ“ გამოთქმისა — ალკკ.

აი, საიდან წარმოდგება შემოკლებული გამოთქმა — საკ. ალკკ. თქვენთვის ახლა გასაგები უნდა იყოს, რომ კომკავშირში მიიღებენ მხოლოდ მოწინავე ახალგაზრდებს, ისეთებს, რომლებიც გამოირჩევიან კარგი მუშაობით და სწავლით, შეგნებული დისციპლინით, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით.

პიონერებო და მოსაწვლეებო, ისწავლეთ და იმუშავეთ ისე, რომ გახდეთ ლენინურ-სტალინური კომკავშირის ღირსეული წევრები. აი, რა მოგეთხოვებათ თქვენ ამჟამად.



### გაზაფხული მოვიდა

გვიხაროდეს, გაზაფხული მოვიდა,  
რა ლამაზად ჩანან მთები შორიდან.

დედამიწა ლაქვარდს დაუფერია,  
ნაკადულნიც ჩვენს სიხარულს მდერია.

თეთრ ქოლგებად გაიშალნენ ტყემლები,  
ზურმუხტებით მოფენილა ტყე-ველი.

ბრწყინავს დილა ნაირ ფერთა მფინარი,  
სასიმღეროდ ყელს იღერებს მდინარეც.

ეს ზამთარი თუ სიამით წავიდა,  
ვისახეღეთ თავი კარგი სწავლითა, —

ჰა, მერცხლებმაც შემოგვძახეს შორიდან:  
— გიხაროდეთ, გაზაფხული მოვიდა!

# სამახსოვრო



# შემთხვევა

## მ თ ხ რ ი ბ ა

მთელ სკოლაში და მეზობლებში ნუგზარი საუკეთესო ბავშვი იყო, მაგრამ მას ერთი ჩვეულება ჰქონდა: ზამთრის სუსხიც რომ ყოფილიყო, თავზე ქუდს არ იხურავდა; მართალია, სკოლაში წასვლისას ნუგზარი დედის შესახედევად ქუდს თავზე ჩამოიცვამდა, მაგრამ როგორც კი სახლს გასცდებოდა, ქუდს მოიხდიდა და ხელში ატრიალებდა.

ზამთრის ერთ ქარბუქიან დღეს ნუგზარი შინ უქუდოდ დაბრუნდა. ქუდი სკოლაში დაჰკარგოდა.

— მაინც არ იხურავდი და იარე ეგრე! — უთხრა გაჯავრებულმა დედამ და საქმით გართული მეორე ოთახში გავიდა.

ნუგზარი უგუხებოდ იჯდა. გრძნობდა, რომ თავის ტკივილი თანდათან უძლიერდებოდა, სხეული ეწვოდა, მაგრამ ამის შესახებ არაფერს ამბობდა.

დალამდა.

ნუგზარი ლოგინში ჩაწვა. სიცხისაგან სწუხდა. დედამისი მარინე თავს დასტრიალებდა, შუბლზე დაფენილ ძმრიან წყალში დასველებულ ტილოს მალ-მალე უცვლიდა. ნუგზარმა ჩაიძინა. ოთახში ისმოდა მისი ქშენა. მაგრამ უცბათ გაიღვიძა და შეშფოთებით წამოიძახა:

— ვინ არის?

— შე ვარ, შვილო, — უპასუხა დედამ.

— წელან რომ მამა შემოვიდა, რა იქნა?

დედას გაუცვირდა შვილის შეკითხვა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ნუგზარი ბოდავდა.

— მამა ხომ მივლინებამია, შვილო! ჯერ არ ჩამოსულა, — უპასუხა მარინემ და ვრილი ტილო ნუგზარს შუბლზე დაადო.

— მალე უნდა წავიდეთ? — იკითხა სიცხისაგან ლოყებაწითლებულმა ნუგზარმა.



— სად, შვილო?

— სად!.. სად!.. რაღას მეკითხები, არ იცი ახლაც მივდივართ?! — კვლავ ბოდავდა ნუგზარი და თან ტიროდა.

— სუ, გაჩუმდი, გენაცვალოს დედა, საცაა ექიმი მოვა, — ამშვიდებდა მარინე.

მთელი ღამე ბორგავდა ნუგზარი. მარინეს თვალი არ მოუხუჭავს, თეთრად გაათენა. მესამე დღეს ნუგზარს უკეთესობა დაეტყო. საღამო ახლოვდებოდა.

— დედა! — წამოიძახა ნუგზარმა.

— რა იყო, შვილო?

— წუხელ გივი და ნოდარი ხომ არ ყოფილან?

— იყვნენ, მაგრამ არ გაგაღვიძე. გაკვეთილების ცხრილი დაგიტოვეს. კარებზე კაკუნი გაისმა.

— ექიმი იქნება, — ჩაილაპარაკა მარინემ და კარი გააღო.

ოთახში ნუგზარის კლასის დამრიგებელი თამარი შემოვიდა.

თამარი დედასა და შვილს მიესალმა და შემდეგ ნუგზარს გადახედა.

— როგორ არის ჩვენი ავადმყოფი? — იკითხა მან.

— გუშინწინ და წუხელიც შეფოთავდა, სიცხე ჰქონდა...

— დღეს კარგად ვარ, პატივცემულო მასწავლებლო, — აღარ დააცადა დედას ნუგზარმა.

თამარი საწოლთან ახლოს დაჯდა და ქალღმერთის რაღაც შეხვეული მაგიდაზე დასდო. ნუგზარი ცნობისმოყვარეობით ათვალეობდა ქალღმერთს შეხვეულს, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, თუ შიგ რა იყო...

— გახსოვს, შემოდგომის სუსხიან ამინდში, ჩემი ავადმყოფობის დროს ჩემს სანახავად უქუდოდ რომ მოხვედი, — რა გითხარი? — ჰკითხა თამარმა.

— მახსოვს მასწავლებლო!

— არა, არ გახსოვს, თორემ რომ გახსოვდეს აღარც დედას შეაწუხებდი და არც შინს ბოლოებს ჩამორჩებოდი სწავლაში, — თნავ მწყურაოდ სთქვა თამარმა და მაგიდაზე დადებულ ქალღმერთს გადაჰხიდა, რომელზედაც სიცხის მაჩვენებელი ჩანაწერები იყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ მასწავლებელი წამოდგა.

— აბა, კარგად იყავი, ჯიუტი ნუ ხარ, დაიმახსოვრე: უფროსებს უნდა დაუჯერო,

— დაყვავებით წარმოსთქვა თამარმა და ნუგზარს ალერსიანად ქოჩორზე ხელი გადაუსვა. ნუგზარზე ისე იმოქმედა ამ გულთბილმა დარიგებამ, რომ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვეღარ მოახერხა, და მადლობის ნიშნად ლოყაზე სიხარულის ცრემლი ჩამოუვლოდა.

თამარის წასვლის შემდეგ ნუგზარმა დედას მოუთმენლად ჰკითხა:

— დედა, რა მომიტანა დედა თამარმა?

— არ ვიცი, შვილო, ვნახავ, — სთქვა და შეხვეული გახსნა.

— ქული მოუტანია, შენი ქული! — გაკვირვებით წამოიძახა მარინემ.

ნუგზარი ჩაფიქრდა. ყველაფერს მიხვდა და ისე შერცხვა, რომ დედის თვალებსაც კი დაემალა, — საბანი თავზე გადაიხურა.

ამ შემთხვევის შემდეგ, ნუგზარი უქუდოდ გავლილი აღარავის უნახავს.

ქ. გომიჯავილი  
ნახატები გ. ჩირინაშვილისა





# სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე

ნაწყობი მოთხოვნიდან

„მამელუკი“ \*

სტამბოლის ტყვეთა მოედანზე ხალხი ირეოდა. სხვადასხვა ქვეყნიებიდან გასასყიდად მოყვანილი ტყვეები აქ იყო თავმოყრილი. ვინ გინდოდა, აქ რომ არ გენახა, შავკანიანი, წითელკანიანი, თუ ყვითელკანიანი. წინა წლებში უმრავლესობას კავკასიიდან მოდენილი ტყვეები შეადგენდნენ: ქართველები, აფხაზები, ოსები, ჩაჩნები... წლეულს მათი რიცხვი მცირე იყო, რაც საერთო ყურადღებასა და გაკვირვებას იწვევდა.

ზოგი ტყვეები მინდორში ჰყავდათ გამოყვნილი, ზოგიც სახელდახელოდ ვაკეთე-

ბულ ფარდულებში. მყიდველები მოდიოდნენ, ტყვეებს ათვლიერებდნენ, სინჯავდნენ, ზომავდნენ, ანჯღრევდნენ, ტყვეთა პატრონებთან ნაპრობდნენ, ჩხუბობდნენ, ილანძღებოდნენ და, როცა ფასში მორიგდებოდნენ, ნაყიდ ტყვეს კისერში ბაწარს ან ჯაჭვს ხბოსათვის აბამდნენ და შინ მიჰყავდათ. ეს, ჩვენ დროში წარმოუდგენელი სისაძაგლე, მამინ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მდიდარი სოვდაგრები ათობით ყიდულობდნენ ტყვეებს სხვადასხვა საქიროებისათვის. ზოგს ჯარიანაკად, ზოგს მიწის მუშად, ზოგს ხელზე მოსამსახურედ...

— დიდება ალლაჰს, დიდება ალლაჰს! — სასოებით ამბობდა და ფეხს დინჯად მოაბიჯებდა ჰუსეინ-ალა, მდიდარი სოვდაგარი და განთქმული ტყვეთა მყიდავ-გამყიდავი.

— ჰუსეინ-ალა მოდის, ჰუსეინ-ალა მოდის! გაისმა აქეთ-იქით ტყვეთა მოედანზე.

სხვათა შორის... ეფენდი-ალი-უსუფსაც აქ მოეყვანა თავისი ქართველი ტყვეები.


— არ ვიცი, რა ვუყო, ეფენდი, რომ არა ცხრება ის შეჩვენებული? ვერაფერით ვერ დავამშვიდე, — მოახსენა ერთ-ერთმა მეფეალყურემ.

— რომელი?

\*) ცნობილი მოთხოვნი „მამელუკის“ ავტორი უიარაღო (კონსტანტინე დავითისძე თათარიშვილი) დაიბადა 1872 წელს სოფელ აბასთუმანში (სამეგრელო). დაასრულა კიევის სასულიერო სემინარია. შემდეგ უმაღლესი განათლება ბელგიაში მიიღო. 1922 წელს დაბრუნდა საქართველოში. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც პედაგოგი-გეოლოგი. გარდაიცვალა 1929 წელს. დასაფლავებულია თბილისში.

„მამელუკი“ ეგება მე-18 საუკუნის პირველ ნახევ-

რის ქართულ ზინამდილეს. დასავლეთ საქართველოს იმ დროს ზურქეთი აოხრებდა. დღენადავ მოსვენება არ ჰქონდა ხალხს. თურქები თავს ესხმოდნენ მშვიდობიან მცხოვრებთ, იტაცებდნენ საუკეთესო ქართულ ქალ-ვაჟებს და თურქეთში ყიდდნენ. ყანაში მუშაობის დროს მათ მეგრულ გლეხს ტაგუს მოსტაცეს უმცროსი ვაჟი ხეიჩა და როგორც საქონელი ვაჰყიდეს სტამბოლის ბაზარზე. შემდეგ ხეიჩა ეგვიპტეში მოხვდა მამელუკთა ლაშქარში, — ასე ეახდნენ იმ რჩეულ ჯარს, რომელიც შესდგებოდა ნაყიდ ტყვეებისაგან.



— აი, პატარა ბიჭი, ფოთის ფაშამ რომ გიფეშქეშა, ხეიჩა რომ ქვიან.

— რის ხეიჩა! — გაჯავრდა ეფენდი.— მე ხომ მაგას მახმუტი დავარქვეი, მახმუტი დაუძახე. განა კიდეე ტირის?... მიფეშქაშა! ისე ამდგარა დილა-ადრიან ფოთის ფაშის გვერდები, რაც მე იმან რამე მიფეშქაშოს! კარგი ფეშქაშაა. შენ არ მომიკვდე... იმის ფასად, რაც მე მაგას საჩუქრები მივართვი, ხუთ ტყვეს ვიყიდდი... რა მინდაო, ბიჭო, რა ატირებს?

— თავს იკლავს, რატომ ზაიდოლას დედაკაცს არ გამაყოლებო.

— ვა, გაგიყდა? ხუმრობს თუ! ერთი მაგ ლაწირაკს უყურე, და! ბიჭო, ხომ არ შიან?

— თავზე საყრელს ვაძლევ, ეფენდი, მაგრამ დღეს პურისთვის ზედაც არ შეუხედავს. გემიდან გამოსვლისას, შენც უყურებდი, ეფენდი, კინაღამ ზღვაში გადიხეხა.

— ჰა, შეჩვენებულ! ეგ სულ მაგ ზაიდოლას გალიზიანებულა. მაგის ოინებს ეშმაკიც ვერ გაუგებს თავბოლოსა. არ გამიკვირდა? ჯერ კიდეე გზაშივე ჩამაცივდა, ბიჭი მომყიდო. არ ვყიდი-მეთქი, ორ დიდრონ ტყვეს მოგცემო. კაცო, თავი დამანებე-მეთქი, ის მასწავლის, რომელ ტყვეს რა ფასი აქვს?

— მართლაც და, იმ ზაიდოლას ტყვე დედაკაცს ძლიერ შეეჩვია. გემზე სულ მასთან იყო. ერთმანეთს რომ დავაშორეთ, ის ქალიც საშინლად ატირდა. თითქოს საკუთარ შვილს ამორებენო.

— ეხ! რალა დროის მაგისთანებია! დალოცვილები, მაგათი გულის ასაყოლად ვის-ღაცა სცალია... მაშ, დღეს პური არ უჭამია? ეს სასიამოვნო ამბავი ვერ მითხარი სწორედ... სახეზედაც ძლიერ გამხდარი იქნება.

— არც ისე, მაგრამ...

— სალამ-ალეიქ, სალამ-ალეიქ ჩემს ალიუსუფს! როგორა ხარ? მე და შენ ხომ მუდამ უნდა ვიცხოვროთ,— გაისმა ჰუსეინ-ალას ხმა. —რა ცოტა ტყვეები ჩამოგიყვანია, ეფენდი, გურჯისტანიდან.\*) რა ამბავია? შარშანწინ, მახსოვს, ამ მოედანზე არ ეტეოდნენ და წლიულს საგანგებოდ უნდა ეძებო, რომ შეამჩნიო.

— ეეხ, ალაჯან! გურჯისტანში არ მიდის საქმე კარგად. იღვიძებენ, მგონია, ვიაურები. რაც ჩამოგვიყვანია, ისიც დიდის წვალებით, სჯულის მადლმა. მთელ დასავლეთის გურჯისტანში ახლა ერთი კავშირია იმერთა მეფის, სოლომონის, მეთაურობით. შეიტყობდით, რა სირცხვილი აჭამა მაგ ურჯულომ მაჰმადის სახელს... ისე გაძლიერდა, რომ ყველა მთავრები, ბეგები

თუ ადები მის სახელის გაგონებაზე კანკალებენ... ტყვეთა გამყიდველებს სასტიკად სლევნის, მოუტირებლად თვალებსა სთხრის... — სამწუხაროა, ძლიერ სამწუხარო, ფაშის შაჰის დღევგრძელობამ,— დარბაისლად სთქვა ჰუსეინ-ალამ...

— რა ვქნათ, ალა, რაც არის, ის არის. ალლაჰის მადლით, ცოტ-ცოტა მაინც გვეყავს, დიდიც და პატარაც, ქალიც და კაციც...

— ალლაჰის მადლით, ალლაჰის მადლით! — ამბობდა ჰუსეინ-ალა და ტყვეებს ათვალიერებდა. გაიარ-გამოიარა ტყვეებს შუა, გახედ--გამოხედა, ზოგი გასინჯა, ზოგს დაელაპარაკა,— კარგი, კარგი, ძლიერ კარგი, მაგრამ ძლიერ ცოტაა. ასეთი ქესატობა ჯერ მართლაც არ მინახავს, — აუჩქარებლივ ამბობდა ჰუსეინ-ალა და ოქროთი თავმოჭედილ ჯოხს მიწაზე ახაკუნებდა.

უეცრად მისი ყურადღება რალაც ხმაურობამ მიიპყრო.

— გაჩუმდი! გაჩუმდი, შე კისერმოსატეხო, თორემ სულს გაგაფრთხობინებ! რა მიზეზიანი რამ ყოფილა ეგ ღორის შვილი! — უჯავრდებოდა ვილაცა მჭირალ ბავშვს.

ჰუსეინ-ალას გამოცდილ ყურებს ეს ხმაური არ გამოეპარა და მეგობარს მოუბრუნდა:

— ეს ვინ ტირის. იმ ფარდულში, ეფენდი-ალი? ის ტყვე ბიჭი თუ იქნება, ა?

— ჰა, კიდეე ტირის ეგ წყეული! — თავისთვის ჩაილაპარაკა ეფენდიმ, — ის ტყვე ბიჭია, ღიან, ის არის, ის კისერმოსატეხი. მოგეხსენებათ მაგათი ჯინიანობა. აიტეხა რალაც მიზეზი და არ ცხრება.

— შეიძლება ვნახო?

— აქ მოგაყვანიე, ალა! — სთქვა ალი-ეფენდიმ და მერე მსახურთ გასძახა: — აქ მოიყვანე ეგ ვიურის შვილი. კიდეე არ გაჩუმდა? ბავშვი ფარდულიდან გამოიყვანეს.

ჰუსეინ-ალას ჭრელი ტანისამოსის და თოვლივით თეთრი დოლბანდის დანახვაზე ბალლი მართლაც გაჩუმდა.

— რისთვის ტირი, ბიჭუნია? ტირილა როგორ გეკადრება, — ტკბილად უთხრა ალამ და თავზე ხელი გადაუღწევა. ბავშვმა გაოცებით შეხედა ჰუსეინ-ალას. ოსმალთაგან ცემისა და გინება-ყვირილის გარდა ასეთი ტკბილისიტყვა ჯერ მას არ გაეგონა.

— გურჯია, არა?

— გურჯია. ფოთის ფაშისაგან საგანგებოდ ვიყიდი. — მოუგო ეფენდიმ.

— სახელი რა ჰქვია?

— მახმუტ.

— მახმუტ? მახმუტ! კარგია, კარგი! — ამბობდა ჰუსეინ-ალა და თავზე ბავშვს ხელს ისეე დაყვავებით უსვამდა, — ნეტავ რისთვის ტირილა?

\*) თურქები საქართველოს გურჯისტანს უწოდებენ.



— კაი აგებულობის ბიჭია! წმინდა სამამულეჯო, — სთქვა ეფენდი-ალიმ.

ჰუსეინ-ალამ ეფენდის ცბიერად და ტუჩები ჩაიკვნიტა.

— საგანგებოდ მომიყვანია სალექ ეფენდი-სათვის. საცაა, ალბათ, ისიც გამოჩნდება, — დინჯად სთქვა ეფენდი-ალიმ.

ჰუსეინ-ალამ ორპირივით გადახედა, თითქოს ეუბნებოდა: ხომ იცი, შვილო, ორთავენი ვაჭრობის ძაღლები ვართ, ჩვენ შორის მაინც ტყუილი რაღა საჭიროაო.

— კეთილი, კეთილი, ეფენდი! — დინჯად მოუგო ჰუსეინ-ალამ და ბავშვი უფრო დაკვირვებით გასინჯა. მერე ცოტახანს დაფიქრდა და ბაღს ტკბილად შეეკითხა:

— შენ, პაწიავ, ჭიდაობა იცი?

ბავშვმა ვერ გაიგო, რას ეკითხებოდნენ და, გააგებინეს თუ არა, დაიქნია თავი თანხმობის ნიშნად.

— კარგი. მაშ, მოდი, ეფენდი, დავჭიდოთ ვისმე.

— რას დავეძებ, — მიუგო ეფენდი-ალიმ, — ვის დავჭიდოთ? ტყვეთაგანს?

— არა, არა, ქუჩის ბიჭს... აბა, გაიქეციოთ და მომგვარეთ ვინმე, — სთქვა ალამ.

მეთვალყურენი აქეთ-იქით ეცნენ და ცოტახანს შემდეგ თორმეტ-ცამეტი წლის ოსმალო ბიჭი მოიყვანეს.

— ეს შესაფერი არაა! — თაკილა ეფენდი-ალიმ, — ეს ხომ დიდი!

— მახმუტ, დაეჭიდები? — დაეკითხა ჰუსეინ-ალა.

ბავშვმა თანხმობის ნიშნად გაულაშა. ეს თითქმის პირველი დიმილი იყო იმ უბედური ღამის შემდეგ.

— შენ თუ მაგას დასცემ, აი შენ საჩუქარი, — შეაგულიანა ალამ და ჯიბიდან ვერცხლის ფული ამოიღო.

ოსმალო ბიჭი ხვიჩას თუმცა სიმაღლით არა სჭარბობდა, მაგრამ თვალდათვალ უფრო ხნიერად და მკვირცხლად გამოიყურებოდა.

ოსმალო ბიჭმა, გაიგო თუ არა, რომ ტყვეს უნდა დასჭიდებოდა, ერთი მედიდურად გადახედა მას და შეუბღვირა. ხვიჩაც თავისი მიმინოსებური თვალებით თამამად მიაჩერდა მოწინააღმდეგეს.

— ჰა, დავჭიდოთ? — წახალისდა მოხუცი ალა...

— თანასწორი ძალა არაა, ჰუსეინ, — ჰოკმანობდა ალო-უსუფი, — სად ეს თითისტოლა ბიჭი, ზღვაში მოგზაურობით გალახული და სად ეს ჭაბუკი, ჩამრგვალებულ-ჩასუქებული.

— ბიჭი თანახმაა. ალბათ, თავის იმედი აქვს, ჰა? გაბედე! — აძალებდა ჰუსეინ-ალა ეფენდი-ალის.

— მისი სისულელე! გზაზე ერთ ტყვე დედაკაცს გადაეკიდა, — გინდა თუ არა, იმას გამოყოლოეთო. გიყია ეგ ოხრის შვილი? ის დედაკაცი ჩოფურა ზაიროლასი იყო. გემიდან ჩამოველ თუ არა, ის დედაკაციც და მეორე ტყვეც იმ კაცმა ადრინაობოლელ ვაჭარს მიჰყიდა და იმანაც თავისი ტყვეები, რა თქმა უნდა, თან წაასხა, ესეც იმათვენ გაიწია და, რომ არ გაეშვიოთ, დაუღია პირი და ბლავის...


ჰუსეინ-ალა ჩაფიქრდა.

— კარგი, კარგი, — ჩუმად ჩაილაპარაკა. — ეხ, მახმუტ, მახმუტ! შენისთანა ბიჭს როგორ არ გრცხვენია, რომ ტირი. — ხალათის ჯიბეში ხელი აუჩქარებლად ჩაიყო, მუჭით ჩამიჩი ამოიღო და გაუწოდა.

ბავშვმა ორივე მუჭი ერთად გაუშვირა, ნაწილი უბეში ხარბად ჩაიყარა და ჭამას იქვე შეუღდა.

ორგვლივ სიცილ-ხარხარი ატყდა.

ჰუსეინ-ალამ ბავშვი გასინჯა — მკლავში ხელი მოუჭირა, პირი გაუღო და კბილებში ჩახედა, შეანჯღრ-შემოანჯღრია და სახეზე კმაყოფილების ღიმილა გადაურბინა.



ეფენდი-ალი დასთანხმდა.  
 ფოტად და, მეტოქენი ერთმანეთს დაეტაკ-  
 ნენ. ოსმალთმ წელში სტაცა ხელი მახმუტს  
 და ზევით თავისუფლად ისროლა.  
 ყველას ეგონა, ეს არის ძირს დაანარცხებს  
 და დაამტვრევსო.

— ხომ ვთქვი, ბარი-ბარი ჭიდაობა არაა!—  
 უკმაყოფილოდ სთქვა ეფენდიმ. მაგრამ ბავ-  
 შვი, ყოველ მოლოდინს გარეშე, თუმცა წა-  
 ბარბაცდა, მაგრამ არ დაეცა, თავი შეიმაგრა  
 და წელში საჩქაროდ გასწორდა. ვიდრე მო-  
 პირდაპირე მოასწრებდა კვლავ დატაკებას,  
 ხვინა გულდაგულ ეცა, ხელები წელზე შე-  
 მოჰხვია, მოსდო კაჭა და მიწაზე ხელდახელ  
 გააგორა.

შეიქნა ერთი სიცილ-ხარხარი. ეფენდი-  
 ალის სიხარულს ხომ საზღვარი არ ჰქონდა.

— კარგი, კარგი! მე ჩემს პირობას შევეს-  
 რულებ, — ჩვეულებრივ აუჩქარებლობით  
 სთქვა ჰუსეინ-ალამ და ბავშვს ფული გაუ-  
 წოდა.—ახლა როგორ?—დაეკითხა ეფენდი-  
 ალის და ტუჩები რაღაცნაირად, თითქოს მი-  
 ზეზიანად დაჰმუქნა.

ეფენდი-ალიმ მხრები გაურკვევლობის ნი-  
 შნად აიჩეჩა და იმანაც ტუჩებით ანიშნა:  
 ხომ ხედავ, რაც არის, რა საჭიროა მიკიბულ-  
 მოკიბული ლაპარაკი, განა ორივენი ერთ  
 დარჯაკში არა ვართ გამოვლილნი და რის-  
 თვის უნდა ვცადოთ ერთმანეთის მოტყუება,  
 მაინც არა გამოვა რაო.

— ხომ მოგახსენეთ, ალავ! რაც ეს დროება  
 დადგა, დღითი დღე მატულობს საქონლის  
 ფასი. სალექ-ეფენდიც...

— ზღაპრებს თავი დაანებე, ალლაპი ნუ  
 გაგიწყობა,—მოუჭრა ჰუსეინ-ალამ, — შენ  
 ვაჭარი ხარ, მეც. აგერ საქონელი და აგერ  
 ფული!

— სოვდაგარო, იცოდე, უკანასკნელი...  
 და თავისი ფასი ჩუმად უთხრა ეფენდიმ.  
 — ალლაპ! რას ამბობ?—გაიკვირვა ეფენდი-  
 —ამდენი ფულით მთელ რაზმს შევადგენ...  
 — ნება შენია, ქება მეტია. საქონელი ხომ  
 თვალწინაა. ვიცი, ვისთვისაც გინდა. უკეთე-  
 სი ძნელი მოსაძებნია.

— მართლად, ეს რა მომივიდა, რომ ვი-  
 ლაც ქუჩის ბიჭს დავეციდე,—ფიქრობდა ჰუს-  
 სეინ-ალა, — მაგრამ ესეც კარგია. დარწმუ-  
 ნებულო მაინც ვარ საქონლის სიკარგეში... ასი  
 და ორასი ყურუმი ჯანდაბას!—გულს იმაგ-  
 რებდა ალა.

— ეფენდი-ალი!—მიმართა ალამ და თი-  
 თებით თავისი ფასი ანიშნა.

— ოო! ყოვლად შეუძლებელია. ჯერ გემის  
 პატრონს რამდენი ფული მივეცი.

— გემით ეს ერთი ხომ არ მოგყავდა?

— ყოველ შემთხვევაში...

— მაინც.

— ერთი ყურუმი არ დააკლდება.

— ჰა, ესეც.


— რას ბრძანებთ, ჰუსეინ-ალა! მარტო ფო-  
 თის ფაშას ფარჩის ქსოვილი რომ ვუფეშქა-  
 შე, ორმოცდაათი მეჯიდიე მაინც ღირდა.

ჰუსეინ-ალამ ბავშვი ხელახლა გასინჯა.  
 გაატარ-გამოატარა, ახტუნა, არბენინა...

— კარგია, კარგი! ჩინებული მამელუკი გა-  
 მოვა!—ამბობდა გულში სოვდაგარი და ოქ-  
 როთ თავმოჭედილ ჯოხს მიწას კმაყოფილე-  
 ბით სცემდა. მერე ეფენდი-ალი-უსუფი  
 ცალკე გაიხმო და მთელი ქისა ოქროები გა-  
 დასცა.

— ესეც ეგრე...—სთქვა და ბავშვი თან წა-  
 იყვანა.

ჰუსეინ-ალამ სხვა ტყვეებიც ბევრი იყიდა,  
 მერე გემი დაიჭირა და ორი დღის შემდეგ  
 ეგვიპტისაკენ გზას გაუდგა.



## მიხეილ პრიშვინი

1948 წლის თებერვალში დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა საყვარელ რუს მწერალს, რუსეთის ბუნების მომღერალს, — მიხეილ პრიშვინს.

მის მოთხრობებს ერთნაირი სიყვარულითა და მღელვარებით კითხულობენ ბავშვები და მოზრდილები. ეს მოთხრობები დაწერილია მშობელი ქვეყნის ბუნების დიდი ცოდნით და განცდით, რომელთაც მკითხველი შეკყავს ბუნების ყოველ კუთხეში და აცნობს მის მრავალფეროვნებას. მწერალი ახერხებს ყოველ ახალ ნაწარმოებში მკითხველს აჩვენოს გარემო ქვეყნის ახალი და ახალი მხარე.

მიხეილ პრიშვინმა ბუნება შეისწავლა არა მხოლოდ წიგნებით, არამედ ბუნებას იგი უშუალოდ ეცნობოდა და აკვირდებოდა, რისთვისაც მწერალმა ბევრი იმოგზაურა.

პრიშვინს ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს, არ ასვენებდა ფიქრი მოგზაურობაზე. ერთხელ, ამხანაგებთან ერთად, კიდევ გაიქცა გიმნაზიიდან შორეულ მხარეში სამოგზაუროდ, რათა ენახა ხალხურ თქმულებებში მოთხრობილი საოცნებო მხარე და სსსრულთ-მოქმედი ოქროს მთები, მაგრამ კაცი დაადევნეს და უკანვე დააბრუნეს.

როდესაც პრიშვინმა სწავლა დაამთავრა და დაეუკაცდა, იგი შეუდგა მოგზაურობას, მიზნად დაისახა ენახა შორეული მხარეები, შეესწავლა რუსეთის ბუნება და შეეგროვებია ხალხური თქმულებები.

პირველად პრიშვინმა შორეულ ჩრდილოეთში იმოგზაურა. ნახა ტუნდრები, იცურავა თეთრ ზღვაზე — მეთევზეებთან, დადიოდა სოფლიდან სოფელში, იწერდა ხალხში გაგონილ თქმულებებს, ნადირობდა ტყეებში, აკვირდებოდა ბუნებას. მრავალ სიძნელეთა გადალახვა უხდებოდა. ნახული და განცდილი პრიშვინმა აღწერა თავის შესანიშნავ წიგნში — „შეუშინებელი ფრინველების მხარეში“.

ახლა, როდესაც ამ ძველ წიგნს ვკითხულობთ, ვხედავთ რა ძლიერად შეიცვალა ჩვენი სამშობლო. იმ მხარეში, სადაც დიდი გაჭირვებით უხდებოდა პრიშვინს პირველი მოგზაურობა, გაყვანილია საუცხოო გზები, გაყვანილია თეთრი ზღვისა და ბალტიის ზღვის შემაერთებელი სტალინის სახელობის არხი, რომლითაც გემები შედიან თეთრ ზღვიდან ბალტიის ზღვაში და პირუტყვ.



შემდეგ მიხეილ პრიშვინი ამ ფართო არხით ეწვია იმ მხარეს, სადაც დიდი ხნის წინათ პირველად იმოგზაურა. მწერალმა გაუვალა ჭაობებისა და უდაბური ტყეების ადგილას ნახა ახალი სოფლები, ელექტრომუქით განათებული ახალი ქალაქები, ხახა ადამიანები, რომელნიც ჰქმნიან ამ მხარის ახალ ცხოვრებას.

პრიშვინმა ვრცელი რუსეთის ბევრ მხარეში იმოგზაურა. ზემო ვოლგის მხარეში მოგზაურობის დროს, მან ერთხელ საბარგო ავტომობილზე სანადირო თათხი მოაწყო, რომელიც მწვანედ (ფოთლების ფერად) შეღება, რათა ნადირს არ შეენიშნა და ღრმად შეიჭრა ტყეში. თან ჰქონდა თავისი განუყრელი თოფი და უბის წიგნაკი. სანადირო თათხის ვიწრო სარკმლიდან მოგზაური მწერალი აკვირდებოდა და სწავლობდა ფრინველებისა და მხეცების ცხოვრებას. თავისი დაკვირვების შედეგებს იწერდა უბის წიგნაკში.

საჭმელს თვითონვე იკეთებდა თავის ნანადირევიდან.

ბუნებასთან უშუალოდ დაახლოვებისა და მისი შესწავლის შედეგად პრიშვინმა შექმნა თავისი შესანიშნავი ნაწარმოებები. ამ ნაწარმოებებით მკითხველი განიცდის ცოცხალი ბუნების სუნთქვას, ტყის სურნელებას, წყალვარდნილების ხმაურს, ხედავს კარელიის ტბებს, ხიბინის მთებს, მუხებს, დიდი ოკეანის ნაპირს...

პრიშვინი რუსეთის ბუნების შესანიშნავი მხატვარია და პატარა მოთხრობების ნამდვილი ხელოვანი. მის ღირსშესანიშნავ ნაწარმოებებზე ბავშვები სწავლობენ მშობლიურ ენას და იმსჯელებიან სამშობლოსადმი სიყვარულით.





მიხეილ პრივინი

ნახატები ირ. რაჭმამისა.

# თ ე თ რ ი                      ძ ე წ კ ვ ი

ციმბირში, ბაიკალის ტბასთან მცხოვრებისაგან მსმენია ერთი დათვის ამბავი და, მართალი ვითხრათ, ვერ დავიჯერე. მაგრამ მთხრობელი მარწმუნებდა, რომ ეს ამბავი ძველ დროს ციმბირის ჟურნალშიც კი ყოფილა დაბეჭდილი სათაურით: „ადამიანი და დათვი მგლების წინააღმდეგ“.

ცხოვრობდა ბაიკალის ნაპირზე ერთი მოხუცი დარაჯი; თევზს იჭერდა, ციყვებზე ნადირობდა. და აი, ერთხელ თურმე ამ დარაჯმა თავისი ფანჯრიდან დაინახა—მისი ქონისკენ შორბის დიდი დათვი, მას კი უკან მგლები მოსდევენ, სადაცაა დაწვევიან მგლები და დათვის აღსასრულიც დადგება...

დათვი ეძგერა კარებს, შევარდა ქოხში. კარები თავისით მიიხურა. დათვი თათებითა და მთელი სხეულით ზედ მიებჯინა. მოხუცი მიხვდა ყველაფერს, ჩამოიღო კედლი დან თოფი და დათვს უთხრა:

— დათუნია, მიაწვევი კარებს, მაგრად მიაწვევი!

მგლები მივარდნენ კარებს. მოხუცმა დაიწყო მიზანში ამოღება, თან დათვს ისევ ეუბნება:

— დათუნია, დათუნია, მაგრად მიაწვევი კარებს!

ამოიღო მიზანში ერთი მგელი, მოჰკლა იგი, მოჰკლა მეორე, მესამე, თან იმეორებს:

— დათუნია, დათუნია, მაგრად იყავი, მაგრად...

მესამე მგლის მოკვლის შემდეგ დანარჩენი მგლები გაიფანტნენ, დათვი კი მოხუცთან დარჩა, ზამთარი მის ქოხში გაატარა. გაზაფხულზე, როდესაც დათვები თავისი ბუნადიდან გამოდიან, მოხუცმა თურმე შეაბა ამ დათვს კისერზე თეთრი ძეწკვი და ყველა მონადირე გააფრთხილა, რომ ეს თეთრძეწკვიანი დათვი არავის მოეკლა: ეს დათვი ჩემი მეგობარიაო.

თარგმნა შ. გვიჩიძე



# ნორჩ ავტორთა შემოქმედება

## ჭოუცი თთახში



ბაბუღი კალშითი ჯუანური ვახაბა

### მებრძოლის სიმღერა გორზე

მე ეს ქალბი ბევრ კარეს მაგონებს,  
ბევრ კარეს მაგონებს მისი სინათლე,  
გორის ციხიდან ეჭურედი მთა-გორებს,  
ღობსების ჩქერში მე მოვიმთაღე.

მტერს რომ დავეცი თურგთან ნებადა,  
ქეის რომ სდიოდა ცეცხლი და ბოლი,  
არ მსურდა გორი გადაღებოდათ  
და წაიბღწათ მშობელი გორი.

სად არ ვიყავი თოვით თუ კალმით,  
მასხვად მისი ქუჩები სწორი,  
გოლი ბურღინთან ვიდგეი აღმით,  
როცა მებრძოლნი მშობელი გორი.

ამაყად იმისი მისი სახელი,  
ბევრ სახელიდან ქალბი შორის,  
ბედნიერების განმოსახველი  
მშობელი გორი... პატრა გორი...

მისწავლე რ. ბაბანიშვილი



სახბერში ღამის გათევის შემდეგ, ჩნენ სტიტორში გავშურეთ — საყვარელი პოეტის—აჯი წყრეთლის მშობლიურ სოფელში.

შევუღებთ მალბოსს. ცოტა ხნის შემდეგ მივდივით სოფელ სტიტორს. ყველას გვიჩლოდა მალე გვეხება აჯის სახლი და ორღობებში ჩქარა მივდივით. ბოლოს მივადრეეთ კიდევ. შევედით მორჩილ გზაში, მიუხაზავადი კეტიკით ნაგებ დიდ სასახლეს. ამ სასახლეში დაიბადა პოეტი, სახანაზოს რომ მოეკარი თვალს ერთი ამავეი გამაქინდა პოეტის მიფრადილიან, პატარიზობას ღორმა რომ წაჭყია და მჭადის ნატეხი გაშტატა. თითქმის ახლა მკაფიოდ მოქმედა წაჭყილი ბავშვის ტირილი.

ფიქრებიდან გამოფრევეი და ჩვენი უფროსი პიონერულმღვანელის ირავლე ყვიფ ბავშვებს შეუუერთიდა. ბოლოს ბიწერები სამ ჯგუფად გაიყავით და თითოეული ჯგუფი ცალ-ცალკე ბავშვურეთ აჯის საცხოვრებელ თთახსაყავს.

ავიარეთ ქვის კიბე, რომელიც სახლის უკან მხარეს არის მიშენებული. კარი ღაილი და მოვეყვება შვევში ნაცველი, თეთრფიანი მოხუცი ქალი, იგი იქნება ასე ოთხმოცი წლის, მაგრამ ჯერ კიდევ ჰქონდა ვად გამოიყვება და სახუტე ძველი სილამაშის ნაწილი ყელავ შერჩენია. მოხუცი მოეყვალა და შეგვაბატრეა, გააღონიღ მჭინდა, რომ აჯის მომჭრეე მისი ახლი ნათესავი ქალი კიდევ ცოცხალია და სახლში მას აბარიათ. მე ვიღებე ამ ცოცხალი მატინანს გვერდით და გაიცინებულნი შევეყვრებო მას, ვისაც ცნება აჯი და გაეგონა მისი ტრებილი ხმა.

მოხუცა შევიყვანა პატრა, მაგრამ ნათელ თთახში. კედლებს მიუყვითალო მშალიერი აქეს გაქრული. მესლისითადაც თვალში ვეცხვით თეთრ ზეფრადღადრებელი აჯის საწოლი, რომელიც ვარაღობოცვალა იგი. საწოლის მარჯვენა მხარეს პოეტის სამუშაო მაგიდა და მას. მაგიდის ერთ მხარეზე იგავ-არაჯათა კრებული დევს, ხოლო მეორე მხარეზე პოეტის ახლი შეგობრის

შეიღების სტრაიი. მათ გინაზილის ტინ-საცემლი აცვიათ.

მაგიდის მუშაი პოეტის კალისტარმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. იგი უხარლო ხისაა. შევეუბრებდი მას და თითოე ვეზადვდი, თუ რაოთრ იწერებოდა ამ კალმით ყველასათვის საყვარელი სიტყვები:

„მონგრეი საქართველოა,  
სიმები ჩემ ვართ ყველაო...“

მოხუცის ხმამ გამომარყავა: — მისმინეთ ყმაწვილებო!— და მან გვიამბო ებიხოდები პოეტის ცხოვრებიდან.

დავავალდირეთ აჯის საწოლი, სამუშაო მაგიდა, წინთსაცავი, რომელშიც ქართული და რუსული წიგნებითა და ჟურნალებთან ერთად ფრანგულიც მოიბოვება.

— აჯის ძალიან უყვარდა ფრანგული, — გვითხრა მოხუცმა.

გვიჩვენა სკამი, რომელზედაც ეწყო აჯის ტანისამოსი—ყვითელი ქაჩირი. კედლებზე ეკვდა აჯის შვეი პალტო და შვეი კრავატილის ქელი. სკამთან ეწყო ფრანგულენოვანი წიგნები-ფრანგულ-ფრანგული. აქვე ეწყო ძველმუშური, წიგნებიანი კალოშები—ქაბია ვითარებისგან დაწიკვარი.

საწოლის სასოფალთან ეწყო აჯის ნივთები.

— აი, ეს აჯის სათვალეა,— გვითხრა მოხუცმა ქალმა,—სტე მისი ასანთი, განსვენებული თამაშის არ ეწყოდა, მაგრამ როცა ვინმე სტურებდა მოუვლიდა, ასანის შესვავებდა ხოლმე.

გამოიზივრების მოხუცმა შემდეგ გვითხრა:

— აჯი რეი ავიღ ვახდა, ქაბის მადა სრულიად წაერთვა. შემოდგომა იწყებოდა და ყურბანი ახლად შემოსული იყო. გავიღ ვენახში, ერთი შვენიერი ავიღო მოვეჩირი და ავადმყოფი თფშით მიუტყტა. მან შემოხმება, გაიბინა, გამხდარი თითებიანი ორი მარცვლილი მოწყვეტა, მიირთვა, ხოლო დანარჩენზე უარი ვანაცხადა. „მალბობელი ვარა“ მითხრა. ის ავიღო ავიღე და აი, იქ, კედლებზე ჩამოვიდე. მას შემდეგ ორდობორ-



მტ. ჯ. დ. კ. ალ. მითი. ჯუანური ვახაბა

მეტი წელი გავიდა. დღითიღვ ავლდებოდა მარცვლები ავიდის და ამ ზამთარს კი სრულიად ვაიკვლა.

კედლიდან ჩამოხსნა გამხარი, გაყვითლებული ლურწი, რომელზეც აღარც ერთი მარცვლი არ იყო. ცემის შემდეგ მოხუცი მივიდა ფანჯარასთან, აიღო რიფხზე დადგმული დოქი და ათქვა:


— განსვენებული აქედან სქვდა წყალს, პირდაპირ პირზე მიიყვინებდა და ისე, როცა მასში წყალი ამოწვებდა, მე მივიღებე ამ წყაროზე, რომელიც უყვარდა აჯის, ვეცხვი წყლით და ისევ აი, აქ, მის საყვარელ ადგილზე ვდგამ.

მოხუცს მალბობა ვადავუხსენით და დავეშვივებოდი. ენაში აჯის ორდობინდელ მაგლის ხის ქვეშ ერთობ ვრიოდნა. ძალიან უყვარდა თურბი პოეტს მის ჩრდილქვეშ ადობი და წინაშე ვთხოვდა. აქედან ხელისფული ვით მოსრანს ვაწლილო ევლები და მონარე ყვარია. ოვად-ღვად აღნათი იქ, თვის ტოლ მიუქმთან რთად უხანავია პატრა აჯის მათ შექნებო დაქვინა.

აქ ყოველი მივით დიდ პოეტს ვავგონებო. ახალთაში მიზიარალი სიმღერით დავტყვეუ დიდა პოეტის სოფელი.

დ. დ. დ. დ.

თბილისის ვაგთა მე-19 საწოლო სოფლის მონაწილე



# ნავთობის საბჭოეობი

საყოველთაოდ ცნობილია ნავთობის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობისათვის. ნავთობის გამოყენება ხდება სამი მიზნით: სანათად (კეროსინი, აირი — საწვავი გაზი); საწვავად\* (ბენზინი, მასუთი) და მრავალნაირი საცხები ზეთების ძისაღებად. გარდა ამისა, ნავთობისაგან მიიღება უამრავი სხვადასხვა ნივთიერება, როგორცაა ვაზელინი, საიზოლაციო მასალა, ფისი, ასფალტი, ლაქი, ოლიფა, სიმუხვები და ა. შ.; განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხავთობს თავდაცვითი საქმეში. ვერც ერთი თანამედროვე ძანქანა და ძრავი ვერ იმუშავებს ნავთობისა და მისი პროდუქტების გარეშე.

ჩვენი სამშობლო ნავთობის საბადოებით მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყანაა. საბჭოთა კავშირზე მოდის ნავთობის მსოფლიოს მარაგის 58,7 პროცენტი, ანუ 4.679 მილიონი ტონა (1946 წ.). თუ ამ ციფრს გეოლოგიურ მარაგსაც მივუმატებთ, მაშინ 8.700 მილიონ ტონას მიალწვევს.

ნავთობის ყველაზე ძლიერი და უძველესი საბადოა აფშერონის ნახევარკუნძულზე (ბაქოს მიდამოები კუნძულ არტემით). იგი ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებში იყო ცნობილი აღმოსავლეთის ხალხებისათვის, რომლებიც აქ ცეცხლის თაყვანისსაცემად მოდიოდნენ. ბაქოს ნავთობის საბადოები პირველად მეცნიერულად აღწერა ცნობილმა არაბმა მოგზაურმა და გეოგრაფმა ალ-მასუდიმ (X ს.).

ბაქოს ნავთობმრეწველობის განვითარებას უდიდესი ბიძგი მისცა ბაქო-ბათუმის რკინიგზისა (1883 წ.) და ნავთობსადეხი მილის გაყვანამ, რითაც ბაქოს ნავთობი ბათუმის ნავსადგურით მსოფლიო ბაზარზე გავიდა. ბაქოს ნავთობის გადამუშავება უმთავრესად ადგილობრივ წარმოებს, ამიტომ ბაქო წარმოადგენს სსრ კავშირის არა მარ-

ტო ნავთობმომწოდებელს, არამედ ყველაზე მსხვილ ნავთობგადამამუშავებელს ცენტრსაც.

ამოღების მიხედვით ნავთობის მეორე მნიშვნელოვანი საბადოა გროზნოს ოლქი. გროზნოს ნავთობის გადამამუშავება ხდება ადგილობრივ და ქალაქ ტუაფსეში.

ჩრდილო კავკასიაში აღსანიშნავია მაიკოპის ჯგუფის ნავთობის საბადოები ქალაქებით თემურიუკი, ხაჯინსკი, ნეფტეგორსკი და სხვ. ნავთობის ამოღებით მაიკოპის საბადოები მესამე ადგილზეა საბჭოთა კავშირში, ხოლო ნავთობის ხარისხით კი პირველი ადგილი უჭირავს.

სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში უდიდესი პერსპექტივები აქვს ე. წ. „მეორე ბაქოს“, რომელიც უზარმაზარ ფართობზეა გაშლილი მდინარე ვოლგასა და ურალის შიშებს შორის (1 მილიონი კვ. კლმ.). „მეორე ბაქოს“ საბადოები პირველად მეცნიერულად შესწავლილ იქნა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის ივანე გუბკინის ხელმძღვანელობით.


პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგი ე. მ. მოლოტოვი ამბობდა:

„ვოლგასა და ურალს შორის მდებარე რაიონში ნავთობის ახალი ბაზის მეორე ბაქოს შექმნის საქმე წარმოადგენს პირველხარისხოვან და გადაუდებელ სახელმწიფოებრივ ამოცანას“.

მართლაც, ნავთობის — „შავი ოქროს“ ახალი, ძლიერი საბადო თავისი მარაგით პირველ ადგილზეა მთელს საბჭოთა კავშირში. მას, როგორც საზღვრებიდან დაშორებულ მდიდარ რაიონს, უდიდესი სამხედრო-თავდაცვითი მნიშვნელობა აქვს.

რუსეთის სუსს რუსუბულიკაში აღსანიშნავია კიდევ შემდეგი საბადოები: დროგობინი, ბორისლავი და რომნი (უკრაინის სსრ), უხტა (ყოფ. ჩიბიუ) — მდ. პეჩორაზე, სახალინი — რომელიც თითქმის ერთადერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი საბადოა ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, კამჩატ-

\* ნავთობი თბოუნარიანობით სჯობს ქვანახშირსა და შეშას, ტორფსა და სხვა სახის საბოებებს.



კახე, უსტ-პორტსა და ნორდვიკში (არქტიკა) და სხვა მრავალი.

მუა აზიაში ხავთობის საბადოთა სამი ჯგუფია: ყაზახთა, თურქმენთა და უზბეკთა რესპუბლიკებში. მათგან ყველაზე ძლიერია ყაზახეთის რესპუბლიკა, სადაც ხავთობი თავმოყრილია მდინარე ემბას აუზში. ემბაზე ამოღებულ ხავთობის გადამამუშავება უმთავრესად ქალაქ ორსკში სწარმოებეს და აქედან ხავთობი იგზავნება ურალსა და დასავლეთ-ციმბირის უდიდეს სამრეწველო ცენტრებში.

საბჭოთა კავშირში არის კიდევ მთელი რიგი საბადოები, რომელთა შესწავლა მეოთხე ხუთწლედშია გათვალისწინებული.

ამირკავკასიის რესპუბლიკებს შორის აზერბაიჯანის შემდეგ ხავთობით მდიდარია საქართველოს რესპუბლიკა. საქართველოში ხავთობის 60-მდე საბადო ითვლება. გამოჩენილი ქიმიკოსი დ. მეხედლეევი საქართველოს ხავთობის შესახებ აძობდა, რომ „საქართველოში ხავთობი არის, იყო და იქნება“.

საქართველოში ხავთობის საბადოთა დამუშავება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო, როდესაც (1930 წ.) შეიქმნა ტრესტი „საქნავთი“.

ხავთობის ერთერთი უძველესი და უმდიდრესი არის პატარა შირაქისა და შირაზანის საბადო, რომელსაც იხსენიებს ცნობილი ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო. აღნიშნული საბადოს ხავთობის დამუშავება ხდება ადგილობრივ ხავთობგადამამუშავებელ ქარხანაში და თავისი ხარისხით იგი ერთერთ პირველ ადგილზეა მთელს საბჭოთა კავშირში.

კახეთში ხავთობის საბადოები აღმოჩენილია აგრეთვე ტარიზანსა და ჩათმას ველებზე, ილდოყანის, ზემო ხოდაშენის, ფხოველის, გურჯაანისა და სხვა მდიდარებში.

ქართლში აღსანიშნავია ნორიოს, ხავთულისა და მარტყოფის საბადოები, რომელთა დამუშავება სწარმოებეს.

აღნიშნული საბადოები მეტად მდიდარია საწვავი გაზით, ამიტომ მათ ბაზაზე მომავალში შესაძლებელია საქართველოს დედაქალაქ თბილისის გაზიფიკაცია.

რამდენიმე წლის წინათ დაიწყო კავთისხევის საბადოს ექსპლოატაცია, რაც იმის მა-

ჩვენებელია, რომ ქართლის ნიადაგი საკმაოდ მდიდარია ხავთობმემცველი ბით.

ყურადღების ღირსია გურიის საბადოები სუფსა-ომფარეთი, სადაც ხავთობთან ერთად საწვავი გაზის მდიდარი მარაგიც არის.

სპეციალისტთა აზრით საქართველოს ხავთობის საბადოებს უდიდესი მომავალი აქვთ.

\* \* \*

ხავთობის მრეწველობაში დიდ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე საწვავი გაზის მოპოვებას, რომელიც ხავთობთან ერთად ამოღის.


ხავთობმოპოვებისა და ხავთობგადამამუშავების საფუძველზე საბჭოთა კავშირში განვითარდა საწვავი გაზის მრეწველობა, რომლის მთავარ რაიონებს წარმოადგენს ბაქო, მაიკობი, ემბა, გროზნო და „შეორე ბაქოს“ რაიონი. გარდა სამრეწველო მიზნებისა ხავთობის საბადოებიდან მიღებული გაზი კარგია სათბობად, რაც დიდად აძვირებს ხავთობის, ქვანახშირისა და ხე-ტყის გამოყენებას.

\* \* \* /

სტალინური ხუთწლედების მანძილზე აღმოჩენილ იქნა ათა მარტო მრავალი ახალი საბადო, არამედ დიდად გაიზარდა აგრეთვე ხავთობის ამოღებაც. თუ 1920 წელს ამოღება მხოლოდ 3,8 მილიონ ტონას აღწევდა, 1940 წელს ხავთობის ამოღებამ 31 მილიონ ტონას მიაღწია. მეოთხე სტალინურ ხუთწლედში (1950 წლისათვის) საბჭოთა კავშირში მოპოვებული იქნება 35,4 მილიონი ტონა ხავთობი, ე. ი. იმდენი, რამდენსაც იღებენ საერთოდ ირანში, პოლანდიაში, ინდოეთში, მექსიკაში, რუმინეთსა და კოლუმბიაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხავთობის ნიშნები, აკად. ფერსმანის აზრით, მთელ საბჭოთა კავშირში ყველგან არის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ამიტომ მომავალში საბჭოთა გეოლოგები აღმოაჩენენ კიდევ მრავალ საბადოს ჩვენი დიადი სამშობლოს თვალუწვდენ სივრცეებზე.

**გ. ზარალიძე**





# დედის ხელთათმანები

(რუსულიდან)

ქალთა სკოლაში, სადაც დარეჯანი სწავლობს, მესამე რგოლის პიონერებმა გადასწყვიტეს მომავალ შეკრებაზე თვითუღეს ეამბნა მეგობრებისათვის საინტერესო რამ თავის ცხოვრებიდან.

შაბათს, გაკვეთილების შემდეგ მოხდა რგოლის შეკრება. პირველად ზეინაბმა დაიწყო; შემთხვევა, რომელიც მას დედასთან ერთად ზაფხულში აგარაკზე გადახდა მეტად საინტერესო იყო. შემდეგ ქეთინომ მოუთხრო მათ ომიდან მოულოდნელად მამის დაბრუნების შესახებ. თითოეულის ნაამბობი დასაწყისში მძიმე და სამწუხაროც კი სჩანდა, მაგრამ მათი დასასრული ყოველთვის ბედნიერი და საინტერესო იყო.

ბოლოს ჯერი დარეჯანზე მიდგა. იგი წყნარი იყო, მორცხვი და კლასში თითქმის შეუმჩნეველი. ამიტომ არაფერი არ მოელოდა, თუ მას რაიმე საყურადღებო თავგადასავალი ჰქონდა ცხოვრებაში. მაგრამ მაცვალამ, რომელიც მუდამ თაოსნობას იჩენდა, მაინც შენიშნა:

— აბა, დარეჯან, ახლა შენ გვიამბე რამე! დარეჯანი წამოდგა, გაწითლდა და წყნარად უპასუხა:

— რა უნდა ვთქვა, მე ისეთი არაფერი არ გადამხდომია...

ყველა მას უტყვეროდა. ყველას სურდა, რომ დარეჯანს რაიმე ეთქვა. ბოლოს დოდო მინდელმა სთქვა:

— რა არის მართლა, დარეჯან! განა საინტერესო არაფერი არ გქონია შენს ცხოვრებაში? ყველა ადამიანს აქვს საინტერესო შემთხვევა. თუ გსურს, შენც შესძლებ გაიხსენო ასეთი რამე!

მეგობრები დარეჯანს მისჩერებოდნენ, ეს კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა მას.

— მე მაგონდება... — უცებ სთქვა დარეჯანმა, — მხოლოდ ეს ყველასათვის როდია საინტერესო, ეს მხოლოდ მე და დედაჩემს შეგვეხება!

— გვიამბე, კარგი იქნება! — ერთხმად სთხოვეს გოგონებმა.

მაშინ დარეჯანმა როგორღაც სძლია უხერ-

ხულობას, ხელები მოიფშვნიტა და დაიწყო.

— დედაჩემს იცნობთ, იწყინებია. მამა კი, თქვენც იცით, ფრონტზე დამედუბა. დილით დედა აღრე მიდის სამუშაოდ, როცა მე ჯერ კიდევ მძინავს. დედა შშენებელია და სამუშაო ძალიან ბევრი აქვს. მაგრამ იგი შინაც ყველაფერს ასწრებს: ამზადებს სადილს, აკეთებს საოჯახო საქმეებს და განსაკუთრებით ზრუნავს ჩემზე. ხოლო კვირას ცირკში ვიყავით და მაშინ მე შევამჩნიე, დედას ხელთათმანები დარღვეოდა. ალბათ დრო ვერ იშოვა, გასაკერავად.


გუმინ საღამოთი დედა დაღლილი მოვიდა, ისადილა, შემდეგ წამოწვა დასასვენებლად და მაგრად ჩაეძინა. მე კიდევ გაკვეთილების დამზადებას უნდა შევდგომოდი, მაგრამ სკამზე ისევ დედის დარღვეული ხელთათმანები დავინახე. მაშინვე გადავწყვიტე, მე თვითონ გამეკერა ისინი. ყუთიდან ძაფი და ნემსი ამოვიღე, ლამაზად ამოვკერე ხელთათმანების დარღვეული ადგილები და იქვე სკამზე დედის სასთუმალთან დავაწყე.

შემდეგ დაეხვეტე ოთახი, დავასუფთავე ჭურჭელი და გავრეცხე დედაჩემის კალოშები. როცა გაკვეთილების სწავლას მოვრჩი, ტანთ გავიხადე და შევწევი ლოგინში.

არ შეძინა. ვიწვევი და ველოდი, როდესაც დედა გაიღვიძებდა და შეამჩნევდა ჩემს ნამოქმედარს, როგორ მოიქცეოდა, რას იტყოდა?

დედამ როცა გაიღვიძა, საათს დახედა, საკმაოდ დრო გასულიყო. სწრაფად გადასინ-





ჯა ნახაზები, მეცადინეობას უნდა შესდგომოდა. სკამი რომ მიიწია თავისკენ, ხელთათმანები აიღო, ეტყობოდა გაუყვირდა, გასინჯა და მოწონების ნიშნად ხელში შეათამაშა. შემდეგ ოთახში მიმოიხედა, ყველაფერი რიგზე სჩანდა. ნასიამოვნებს წყნარად გაეცინა. მე კი ამ დროს დედას საბნიდან ვუთვალთვალებდი, მერე კი თავი მოვიმძინარე და თვალები დავხუჭე. იგი ფრთხილად მოვიდა ჩემ საწოლთან და მთავრდა.

დედაჩემმა ახლაც არ იცის, რომ მე მაშინ არ შეძინა...

დარეჯანმა დაამთავრა. ისევ დაიმორცხვა, და წყნარად დაჯდა. ზეინაბმა და მაყვალმა ტაში შემოჰკრეს. შემდეგ, მოწონების ნიშნად, ყველა მათ აჰყვა.

შეკრება როცა დამთავრდა, სახლისკენ მიმავალი პიონერები გზადაგზა ხმამაღალი საუბრით იგონებდნენ თავიანთი მორცხვი მეგობრის მეტად შინაარსიან უბრალო თავგადასავალს.

დარეჯანი იმ დღიდან ყოველმხრივ ამაღლდა და გაიზარდა მეგობრების თვალში.

**დავით შამათავა**

ნახატები ირ. რაჭმადის

# პიონერთა უკუკავშირების მაგნიტი

## ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის ისტორიიდან \*

1937 წელი

1939 წელი

**მარტი.** — რესპუბლიკური ესპანეთის მებრძოლთა და მეთაურთა ბავშვებმა გამოუგზავნეს საბჭოთა კავშირის პიონერებს ბარსელონის პიონერების დროშა.

**23 მაისი.** — ეს დღე არა მარტო პიონერთა დღე იყო, — ეს დღე მთელმა საბჭოთა ხალხმა ილღესასწაულა ბავშვებთან ერთად.

1938 წელი

პიონერთა დიდი მეგობარი და მათი საყვარელი მასწავლებელი მიხეილ ივანეს-ძე კალინინი ჩვენი ქვეყნის ყველა პიონერისაღმე მიმართვაში სწერდა:

**25 იანვარი.** — საბჭოთა კავშირის გმირმა ვალერი პავლეს-ძე ჩელოვმა „პიონერსკაია პრავდაში“ გამოაქვეყნა წერილი პიონერებისადმი. ამ წერილში ვ. ჩელოვი ლაპარაკობს პიონერ-მოსწავლეთა დისციპლინის შესახებ. იგი სასტიკად ჰკიცხავს იმ ბავშვებს, რომლებიც არ იცავენ დისციპლინას ქუჩაში, რომლებიც ახტებიან ხოლმე ტრამვაის და ამას ვაჟკაცობად თვლიან. „უნდა მიეჩვიო ქუჩაში წესიერად სიარულს, — სწერდა ვ. ჩელოვი, — უნდა დაიცვა ქუჩაში სიარულის წესები. ეს ძნელი როდია; წესების დაცვა კი ძალიან სასარგებლოცაა დისციპლინის გამოსამუშავებლად, ხოლო დისციპლინა მამაცი ადამიანის, ვაჟკაცის აუცილებელი თვისებაა“.


„15 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის პიონერთა ორგანიზაციამ მიიღო ყველა მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი. 23 მაისი შესანიშნავი თარიღია არა მარტო პიონერთათვის, არამედ კომკავშირისთვისაც, აგრეთვე მთელი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხისთვისაც.“

— კარგია პიონერობა საბჭოთა ქვეყანაში. ყველას უყვარხართ, საყოველთაო ყურადღება და მზრუნველობა არ გაკლიათ, თქვენ საბჭოთა ხალხის სიხარული და იმედი ხართ“.

1941 წელი

**3 ივლისი.** — ამხანაგმა სტალინმა სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი. მან მოუწოდა მთელ საბჭოთა ხალხს დარაზმულიყო გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

\*) გაგრძელება: დასაწყისი იხ. ყურნალ „პიონერის“ 1947 წლის № № 8, 9 და 1948 წლის № 1-ში.



ბელადის მოწოდებაზე უფროსებთან ერთად სამშობლოს მტრების წინააღმდეგ აღსდგა ჩვენი ქვეყნის მილიონობით პიონერები. ქალაქ მოსკოვის 224-ე სკოლის პიონერი ბორის რუდაკოვი სწერდა:

„მე მოვისმინე საყვარელი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გამოსვლა რადიოთი და ვცდილობდი, არც ერთი სიტყვა არ გამომრჩენოდა.

ვუსმენდი და ვგრძნობდი, რომ უფრო და უფრო მემატებოდა სიძულვილი საზიზღარი მტარვალებისადმი — ფაშისტებისადმი, რომელნიც თავს დაესხნენ ჩვენს სამშობლოს.

ვულმშვიდად იყავით, ძვირფასო მებრძოლებო! ჩვენ, ბავშვები შეგცვლით მინდვრებში, პიონერულად ვიზრუნებთ თქვენს ცოლ-შვილზე, დედებზე, ჩვენ გვწამს ჩვენი ძალა, დარწმუნებული ვართ, რომ საზიზღარი მტერი დამარცხებულ იქნება“.

ამ სიტყვებით პიონერმა ბორის რუდაკოვმა გამოხატა ყოველივე ის, რასაც ფიქრობდნენ და გრძნობდნენ საბჭოთა ბავშვები.

### 1942 წელი

**იანვარი.** — პიონერები და მოსწავლეები იხმარებოდნენ პარტიზანებს ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ნორჩ საბჭოთა პარტიზანების გაბედულმა მოქმედებამ სერიოზულად ჩააფიქრა გერმანელთა სარდლობა. პიტლერელმა გენერალმა ფონ-კლიუგემ გამოსცა ბრძანება, რომელშიც სწერდა: „ყოველი ღონე იხმარეთ, რომ სამოქალაქო პირებს საშუალება არ მიეცეთ რეინიგზის მიღამოებში სიარულისა. განსაკუთრებით თვალყური ადევნეთ საბჭოთა ორგანიზაციის „პიონერების“ ბიჭებს, რომელნიც ყველგან დაძვრებიან“.

**4 მაისი.** — ლენინგრადის სკოლებში, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი გარემორტყმული იყო მტრით, განახლდა ნორმალური მეცადინეობა. გამირი-ქალაქი დიდ განსაცდელში იყო. მოსახლეობა შიმშილობდა. დღე და ღამე პიტლერელები ტყვიას უშენდნენ

ქალაქს ჩვემეხებიდან. თვითმფრინავებიდან, მაგრამ ბავშვები მაინც დადიოდნენ სკოლებში, გულმოდგინედ მეცადინეობდნენ.

**15 მაისი.** — სტალინის ოლქის, არტიომოვის რაიონის, სოფელ პოკროვსკში, სადაც ამ დროს პიტლერელები პარპაშებდნენ, ადგილობრივმა პიონერებმა არალეგალური პიონერული რაზმი ჩამოაყალიბეს. რაზმის ორგანიზატორი იყო მე-9 კლასის მოსწავლე ვასია ნოსაკოვი. რაზმის პიონერები აწვდიდნენ პარტიზანებს ცნობებს პიტლერელებზე, უშვებდნენ ფურცლებს, წყვეტდნენ ტელეფონის მავთულებს.


პიტლერელები დიდხანს ეძებდნენ „ძლიერ პარტიზანულ რაზმს“, რომელიც დიდ ზარალს აყენებდა მათ. ფეხზე დააყენეს მთელი თავისი პოლიცია. მაგრამ ვერას ვახდენენ. ნორჩი იატაკქვეშელები განაგრძობდნენ დაუნდობელ ბრძოლას მტრის წინააღმდეგ მანამ, ვიდრე საბჭოთა არმია მოვიდოდა სოფელ პოკროვსკში.

**სექტემბერი.** — საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა ცნობა ვოროშილოვგრადის ოლქის სოფელ დარეივაში მცხოვრებ 13 წლის პიონერის კოლია ნიკიფოროვის გამირული დაღუპვის შესახებ. კოლია ხელში ჩაიგდო პიტლერელთა დამსჯელმა რაზმმა. ოფიცერმა მოითხოვა კოლიასაგან ეჩვენებინა პარტიზანების ადგილსამყოფელი. ბავშვმა უპასუხა, რომ მან არ იცის, თუ სად არიან პარტიზანები. პიტლერელებმა მხეცურად სციმეს ბავშვს. გადაუმტკრიეს თითები, მოსჭრეს ყური. კოლიამ მაინც არ გასთქვა პარტიზანები. ფაშისტებმა იგი დახვრიტეს.

**8 ნოემბერი.** — მთელ საბჭოთა კავშირში ჩატარდა სრულიად საკავშირო პიონერული კვირეული — „პიონერი — ფრონტს“. ბავშვები შეშას ხერხავდნენ სკოლებისათვის, მიჰქონდათ ჰოსპიტლებში საჩუქრები დაჭრილი მებრძოლებისათვის, აგროვებდნენ ჯართს, ეხმარებოდნენ ფრონტელთა ოჯახებს ზამთრისათვის მზადებაში.

(დასასრული იქნება)





კარგული ცხოველები

დათვი

ჯიხვი

ყველა მხეცზე დიდი არის დათვი ზომით ჩვენს მხარეში, ექვსას კილოს აიწონის და ბინადრობს მხოლოდ ტყეში.

ცივ ზამთარში საძინებლად საღმე ნახავს მყუდრო ბინას, თუ სიმსუქნე არა ჰყოფნის, დათვს ზამთარშიც არა სძინავს.

ზამთრის ძილში საკუთარი ცხიმი ჰკვებავს მიძინარ დათვებს; არ ირწმუნოთ, ტყუილია არ ილოკავს დათვი თათებს.

არის ხეშეშ ბეწვიანი მონაცრისფრო მურა ფერის; შვიდნახევარ თვის მიწურულს იბადება დათვის ბელი.

იბადება სულ ბატარა ნახევარი კილოგრამი, ოცდაათ დღეს თვალს ვერ ახელს, თითქო სძინავს დღით და ღამით.

მასზე მხოლოდ დედა ზრუნავს, შვილებს დასდევს ორი წელი, თუ ბელები ხვადმა ნახა, მყისვე დაგლეჯს საძაგელი.

დათვი მავნე მხეცი არის, დაჭრილი კი მეტად ავი. დათვის ხორციც ვარგა, მაგრამ ძვირფასია დათვის ტყავი.

არის ამაყი, არის ფიცხელი, შორს, შორს ჰხედავენ მისი თვალები, ბინად ირჩია ქვეყნად მარტოდენ კავკასიონის მთის მწვერვალები.

ცხოვრობს ფარებად ასი, ორასი, როგორც ადათის მტკიცე მცველები და დარაჯებად მუდამ დაჰყვებათ შურთხები—მაღალ მთის ფრინველები. ფრთხილზე ფრთხილია ჯიხვი ყოველი, იცის—მარადყამს არის მტრიანი; ციცაბოებზე, კლდის წარადებზე უყვარს ნახტომი ოთხმეტრიანი.

ამბობენ: — ჯიხვი რომ გადახტება, თითქოს ქარადებს რქებით ესობა, — ასე რომ იყოს, ხომ გაწყდებოდა მთაში ჯიხვების უმრავლესობა!

ცოცხლობს მეტწილად ჩვიდმეტ

წელიწადს

და წელიწადში ერთხელ მრავლდება; დედასთან ერთად დახტის ციკანიც მაშინვე, როგორც დაიბადება.

ტყეებში ზამთრობს, მაგრამ ზაფხულში ისევ ალბიურ მთებს უბრუნდება; ჯიხვი ნამდვილი მთის ცხოველია, მაგრამ ადვილად შინაურდება.





ხორციე კარგი აქვს, ტყავიც კარგი აქვს,  
რქისგან მზადდება კარგი ლილები...  
ჯიხვის ბინაა ქვეყნად მარტოდენ  
კავკასიონის მთაგრებილები.

## მგელი

აი, მართლა მავნებელი,  
საზიზღარი, საძაგელი;  
ყველა მგელი ძაღლს ჰგავს, მაგრამ  
სად ნაგაზი და სად მგელი.

გვიჩანაგებს ცხვარს და ძროხას,  
ცხენსაც თხისგან როდი არჩევს!  
ტყეშიც გვისპობს სანადიროს:  
ირმებს, ჯიხვებს, შვლებს და არჩევს.

ხარბი არის: არც შიოდეს,  
მაინც ჰგლეჯს, არ ენანება,  
და თუ ჰშია, მით უმეტეს,  
მაშინ კაცსაც ეტანება.

მას გადააქვს სწეულება,  
მას გადააქვს ძაღლზე ცოფი...  
მონადირევ! არ დაინდო,  
დაახალე პირმყრალს თოფი.

ორ თვეს მუცლით დაატარებს,  
ათამდე ლეკვს ბადებს მგელი,  
მათ შეკრული თვალები აქვთ  
სმეცხრე დღეზე გასახელი.

ხალხს ჰგონია, მოუხრელი  
თითქოს ჰქონდეს მგელს კისერი.  
ანდა ყნოსვა არა ჰქონდეს, —  
ტყუილია ყველაფერი.

ზაფხულსა და გაზაფხულზე  
მარტოდ დაძრწის სულწასული.  
მერე შეჰქმნის მგლების ხროვას  
ერთად ხუთი, ათი სული.



## აფთარი



ქართველთა  
წერითადაც  
კავშირთადაც

იციო, მივარდნილ სოფლებში  
ხალხს რა ჰგონიათ აფთარი?  
ამბობენ: კაცი არისო  
სასაფლაოდან ამდგარი!

საფლავს სთხრის, გვამებს იღებსო,  
ზედ ძღება, როგორც სვავიო,  
თავზარდამცემი მხეცია,  
ავი და გამზედავიო.

მაგრამ ამგვარი ზღაპრები  
ერთიც არ არის მართალი,  
უფრო მშინაა მხეცია  
სინამდვილეში აფთარი.

„გააფთრებული“, დაჭრილი  
ყველა მხეცია საშიში,  
მაგრამ აფთარზე მრისხანე  
უფრო მეტია სხვა ჯიში.

გადაუხზავს შავ ზოლებს  
მისი სხეული გამხდარი,  
მიტომაც ჩვენში უწოდეს  
მას „ზოლიანი აფთარი“.

დედა ხუთამდე ნაშიერს  
ას დღემდე მუცლით ატარებს,  
თვალეები გაეხილებათ  
მეათე დღეზე პატარებს.

უსარგებლოა აფთარი  
როგორც ტურა და მგელია;  
სადაც წააწყდეთ, გასწყვიტეთ,  
მავნე და მტაცებელია.





ჩვენს ქუჩაზე, ჩემი ფანჯრის პირდაპირ, ყოველ გაზაფხულზე ჰყვავის აკაცია. ჯერ სულ პატარა, ნორჩ ფოთლებს გამოისხამს, შემდეგ ფოთლები დლითიღლე იზრდებიან და ბოლოს აკაციის ტოტებზე ეკიდებიან მტევნების მსგავსი თეთრი ყვავილები. ამ დროს საიდანღაც გამოჩნდებიან ფუტკრები და მთელი დღე გაისმის მათი საამური ბზუილი.

როდესაც ფანჯარას ვაღებ, ოთახში ნიავს შემოაქვს აკაციის სურნელება, სუნთქვა საამო ხდება და ხალისი შემატება. ამ სიამოვნებისათვის მადლიერი ვარ აკაციის. მაგრამ აკაცია მარტო ხომ არ არის! ფანჯრიდან ის ჩანს მარტო, თორემ როდესაც აივანზე გავდივარ, მე ვხედავ ჩვენი ქუჩის ორივე მხარეზე ჩამწკრივებულ ხეებს, რომელთა სიმწვანე და ფოთლების შრიალი ყოველთვის მახარებს.

ამ ხეების წყალობით ლამაზია ჩვენი ქუჩა. საამოა მათი ჩრდილი, განსაკუთრებით ზაფხულის პაპანაქებაში.

რამდენჯერ დამინახავს მტვერი მათ ფოთლებზე! ამ მტვერს ისინი ჰაერიდან იზიდავენ და, ამგვარად, მტვერისაგან სწმენდენ ჰაერს. მაგრამ მტვერი არც მცენარეებს უყვართ. როცა წვიმა მოდის, უნდა ნახოთ ისინი, როგორ ფუსფუსებენ და როგორ იშორებენ მტვერს. წვიმის შემდეგ კი მეტად მხნედ და ხალისიანად გამოიყურებიან.

მცენარეები ბევრ სიკეთესა და სიამოვნებას გვანიჭებენ. ისინი ჩვენი მეგობრები არიან. ამიტომ არის პარტია და ხელისუფლება დიდ ყურადღებას რომ აქცევენ მცენარეთა რგვასა და გავრცელებას. ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს ქალაქი, სადაც არ ეწყობოდეს ახალი ბაღები და ბაღნარები, ქუჩებსა და ეზოებში არ რგავდნენ ასიათასობით ნორჩ მცენარეს.

კერძოდ თბილისში ბევრი ახალი ბაღი და ბაღნარი გაშენდა. ყველგან ქუჩების ორივე მხარეზე დარგულია ხეები. თუ სადმე ქუ-

ჩას გამწვანება აკლია, იქ ყოველ გაზაფხულზე რგავენ ნერგებს.

მცენარეთა რგვა სწარმოებს თბილისის მიდამოებშიც. ახლო მომავალში ეს მიდამოები დაიფარება მცენარეებით და გამწვანდება ბევრი საგარეუბნო აგარაკი. ამ აგარაკებზე დაისვენებენ მშრომელები და მოეწყობა პიონერთა ბანაკები.

მცენარეთა რგვა სწარმოებს არა მარტო ქალაქებში, არამედ დაბებსა და სოფლებშიც. კოლმეურნენი ამწვანებენ საკოლმეურნეო ეზოებს, შარავხებს, აწენებენ ბაღებს სასოფლო კლუბების გარშემო და სხვა...

გარდა იმისა, რომ მცენარეები გარემოს ალამაზებენ, ისინი ჰაერს ასუფთავებენ, ამდიდრებენ უანგბადით და აზოშიერებენ მის ტემპერატურას.

ბევრ პიონერს შეგნებული აქვს მცენარის მნიშვნელობა და ყურადღებით ეპყრობა მას. როგორც ქალაქად, ისე სოფლად, არიან პიონერთა რაზმები და რაზმეულები, რომლებიც, მასწავლებლების დახმარებით, აწარმოებენ თავიანთი სკოლების ეზოების გამწვანებას. ამ მხრივ მეტი შესაძლებლობა აქვთ სოფლელ პიონერებს. მათ სკოლის ეზოში შეუძლიათ ხეხილის ბაღიც გააშენონ.

ყოველი პიონერი და მოსწავლე უნდა ცდილობდეს შეიტანოს წვლილი თავისი ქალაქის, თავისი სკოლის ეზოსი და საცხოვრებელი ადგილის მიდამოების გამწვანების საქმეში.

რუსი მწერალი ლეონიდ ლეონოვი თავის წერილში — „მეგობრის დასაცავად“, რომელიც გაზეთ „იზვესტიამი“ დაიბეჭდა, პიონერ-მოსწავლეებს სიყვარულით მოუწოდებს: „...დაე, პირველი ორი ხე თქვენი სკოლის ეზოში ლენინისა და სტალინის პატივსაცემად დაირგოს, როგორც მადლობის გამოხატულება იმ გულითადი ზრუნვის პასუხად, რომელიც მათ გასწიეს თქვენი ბავშვობის კეთილდღეობისათვის.“

...ალბათ, თავის დროზე მოინდომებთ აგრეთვე აღნიშნოთ ზოიას და მატროსოვის გმირობა, პუშკინის, გორკის და ყველა იმ პირთა ღვაწლი, ვისი სახელებიც წარმოთქმული იყო ერთ დაუფიქრებელ ბურჟუას დილას, როგორც გამარჯვების გზის დალოცვა... ყველას ეყოფა ადგილი საბჭოთა მიწა-წყალზე და მადლიერი ახალგაზრდობის მესხიერებაშიაც, დაე, გმირების ან ისტორიული ამბების აღსანიშნავად გაშენებული ქალების ცოცხალი ძეგლებით მოიფინოს საბჭოთა სახელმწიფო“...

ამ სასიქადულო და საშვილიშვილო საქმეს პიონერებმა და მოსწავლეებმა სიყვარულით უნდა მოჰკიდონ ხელი. მათ მიერ დარგული ყოველი ხე მათი კარგი ბავშვობის სამახსოვრო ნიშნადაც დარჩება.

მცენარე ჩვენი მეგობარია. მაგრამ ზოგიერთმა ბავშვმა არ იცის ეს და მცენარეს მტრულად ეპყრობა: სტეხს, ტოტებს, დანით კანს უჩეხს, ახლად დარგულ ნორჩ მცენარეს ჭიგოს აცლის, გადმოხრის და ჯდება ზედ, როგორც საქანელაზე. ნორჩი მცენარე ვერ უძლებს ბავშვის სიმძიმეს, ტყდება და იღუპება. მოზრდილი მცენარეც ბავშვის უდიერი მოქცევით მახინჯდება და ადრე კარგავს სიცოცხლის უნარს.

ათასობით ნორჩი მცენარე დაღუპულა და იღუპება ბავშვების უდიერი საქციელის შედეგად. ასეთი ბავშვები ზარალს აყენებენ ქვეყანას. ისინი ახლობლებმა და ამხანაგებმა უნდა შეარცხვინონ და გაჰკიცხონ, უნდა შეაგნებინონ მათ, რომ მცენარე ადამიანის მეგობარია და მეგობარს მეგობრულად უნდა მოპყრობა.

მე ბევრი მცენარე გადამიჩენია უდიერ ბავშვებისაგან დაღუპვას. თვით ის აკაციაც კი, რომელიც ჩემი ფანჯრის პირდაპირ დგას!

ამ რამდენიმე წლის წინათ იგი პატარა იყო, ჭიგოზე აკრული.

ერთ საღამოს აივანზე ვხეივარ. ქუჩაში პატარა ბიჭი დადის და სტვენს. ტოლს ეძებს, თამაში უნდა. უცებ დაიხარა და ქვეყანაში აკაციას დაუმიზნა და ესროლა. მცენარეც არეს ამორდა. ბიჭი ქვეს დაედევნა, აილო და ახლა მეორე მხრიდან ესროლა. ქვა მცენარეს მოხვდა. ბიჭი მივარდა აკაციას და გაუხარდა, რომ ქვა ძლიერად მოხვედროდა და კანი დაეყეფა მისთვის. შემდეგ ბიჭმა აკაციას დაეყეფილი კანის მოცილება დაუწყო. მე ვერ მოვითმინე და საყვედურით ვუთხარი: — ბიჭო, რას ერჩი მაგ მცენარეა, ზომ ხედავ, როგორ კარგად ხარობს. ის სჯობს, რომ გახმეს, თუ იხაროს და ქუჩა დაგვიმშვენოს?

ბიჭმა თავი დახარა, მისმინა და ბოლოს დარცხვენილი გაიქცა.


გასულ წელს ჩემი მეზობლის ბიჭს, შალვას, ქუჩაში ახალგაზრდა ჭადრისათვის კანზე თავისი სახელი ამოეჭრა. ეს დაუნახავს პიონერარაზმის საბჭოს თავმჯდომარეს. შალვა კიდევ ყოფილა შემჩნეული ასეთ საქციელში. ამის შესახებ პიონერარაზმის საბჭოს თავმჯდომარეს საკითხი დაუსვამს პიონერარაზმის შეკრებაზე და შალვასთვის საყვედური გამოუცხადებიათ. ამის შემდეგ, როგორც გავიგე, შალვა მცენარეებს უდიერად არ ექცევა, „მცენარის მეგობართა“ წრეშიც კი ჩაწერილა და წელს, ჩვენი ეზოს ბაღში სამი ძირი ალუბალი დარგო.

პიონერებო და მოსწავლეებო, გიყვარდეთ მცენარე. ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე მიიღეთ მონაწილეობა მცენარეთა რგვის საქმეში. შეისწავლეთ მისი ცხოვრება და მოვლა. ნუ მოექცევით მცენარეს უდიერად და დაიცავით მისი სიცოცხლე დაღუპვისაგან!

გახსოვდეთ, რომ მცენარე ჩვენი მეგობარია.

ბორის ბეთანელი





# იუგოსლავიის პიონერები

ი. მაიორკოვა

ათასობით იუგოსლაველი ბავშვები, თავის ხალხთან ერთად, მონაწილეობდნენ ფაშისხმის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში.

როდესაც იუგოსლავია განთავისუფლდა, იუგოსლავიის მთავრობამ და ხალხმა, უპირველეს ყოვლისა, იზრუნეს თავის პატარა მოქალაქეებისათვის. საჭირო იყო ზრუნვა დაობლებულ ბავშვებისათვის, საჭირო იყო აღდგენა და აწვენება სკოლებისა და საავადმყოფოების.

სამი წლის განმავლობაში ახალ იუგოსლავიაში ჩატარებულია დიდი შემოქმედებითი მუშაობა. გახსნილია ათასობით სკოლა, ათათასობით ბავშვთა დაიწყო სწავლა თავის მშობლიურ ენაზე.

მთავრობამ საუკეთესო შენობები დაუთმო ბავშვებს.

მეფის ყოფილ სასახლეში, რომელიც ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, მოთავსებულია ბავშვთა კოლონია. აქ ცხოვრობს 900 ობოლი — ბრძოლაში დაღუპულ ხორვატელი, სერბიელი, ბოსნიელი, ჩერნოგორიელი პარტიზანების შვილები. მათ შორის იმყოფება პატარა ხორვატელი პერო კოსიერი სოფელ ბარილევიჩიდან. მტრებმა პეროს ამოწვეს თვალები, გადასჭრეს ხელი, ტანზე მიაყენეს ოცდაცხრამეტი ჭრილობა. როდესაც საბჭოთა კავშირის ქალთა დელეგაცია იყო იუგოსლავიაში, საბჭოთა კავშირის გმირმა, მფრინავმა უენია ჟიგულენკომ შეეკითხა პეროს: ხომ არა აქვს მას რაიმე სათხოვარი დელეგატებთან. ბიჭუნას მკაცრი სახე უცებ შეეცვალა, მხიარული გამომეტყველება მიიღო და უბასუხა: „მაქვს ერთი სათხოვარი“, და პერომ ისურვა, რომ საბჭოთა ქალებს მის შესახებ ეამბნათ მოსკოვში, რომ ის, ხორვატელი პერო კოსიერი, ბრძოლის დღეებში არ იყო უსაქმოდ და პარტიზანებს ეხმარებოდა რითაც შეეძლო.


...ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე იუგოსლავიის ახალგაზრდობის ხელმძღვანელობით მოსწავლეები შეუდგნენ თავის ორგანიზა-

ციის ჩამოყალიბებას, რომელსაც უწოდეს „პიონერთა კავშირი“ სსრ კავშირის ნორჩ პიონერთა პატივსაცემად. ახლა პიონერთა კავშირი გადაიქცა მასობრივ ორგანიზაციად. ყოველ სკოლასთან და საბავშვო სახლთან შექმნილია პიონერთა კავშირის რაზმეულები. პიონერთა კავშირში დებულობენ ყველა მსურველ ქალ-ვაჟს 6 წლიდან 14 წლამდე. კავშირი ორ ნაწილად იყოფა: „მოზარდების“ 6 წლიდან 9 წლამდე და პიონერების 10 წლიდან 14 წლამდე. თვითეულ რაზმს აქვს რაზმის დროშა. პიონერები ატარებენ ნიშნებს და იმ ფერის ყელსახვევებს, რა ფერისაც არის მათი რაზმის დროშა. დროშები ზოგი ყვითელია, ზოგი ცისფერია და ზოგიც მწვანე. რაზმები, რომლებიც უკეთესად მუშაობენ, ითვლებიან დამკვრელ რაზმებად. ისინი დებულობენ წითელ დროშას და აქვთ უფლება ატარონ პიონერთა წითელი ყელსახვევი.

იუგოსლავიის პიონერთა კავშირის წესდებაში სწერია: „პიონერთა კავშირი ისახავს თავის ამოცანად აღზარდოს და განავითაროს თავის წევრებში ყოველივე კარგი, რაც შეადგენს იუგოსლავიის სახალხო ფედერაციული რესპუბლიკის შრომისმოყვარე და პატიოსან მოქალაქის მშვენიერებას; სამშობლოსადმი ერთგულება, თავდადება და სიყვარული; ძმობა, ერთობა, თანასწორობა იუგოსლავიის ხალხთა შორის, სიყვარული თავისუფლებისადმი, პროგრესისადმი, შრომისადმი; პატიოსნება, სიმამაცე, თავგანწირვა; ცოდნისადმი სიყვარული; მისწრაფება—გახდეს ჩვენი ხალხისათვის სასარგებლო“. ბავშვები ცდილობენ გაამართლონ პიონერთა კავშირის წევრის ღირსეული სახელი.

იუგოსლავია შენდება... ქვეყნის წინაშე გახსნილია დიადი, ნათელი გზა. სახალხო რესპუბლიკას ესაჭიროება კულტურული და განათლებული ადამიანები.

1947 წლის გაზაფხულზე დამტკიცებულ იქნა იუგოსლავიის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა. ამ გეგმის თა-



ნახმად 1951 წლისათვის რესპუბლიკაში აშენდება ახალი ქარხნები, მალაროები, ფაბრიკები, ელექტროენერგია გამოიმუშავდება 4 ჯერ მეტი, ვიდრე ომამდე იყო. აშენდება ახალი სახლები, საავადმყოფოები, სკოლები, სანატორიუმები. დიდ ყურადღებას აქცევს სახალხო მთავრობა მშენებლობას ბოსნიის, ჰერცეგოვინის, მაკედონიისა და ჩერნოგორიის რესპუბლიკებში, რომლებიც დანგრეული იყო გერმანელებისა და იუგოსლავიის ყოფილი მართველების მიერ.

ახალ იუგოსლავიაში ახალგაზრდები დიდ მონაწილეობას ღებულობენ ქვეყნის მშენებლობაში, ისინი თავდადებულად მუშაობენ ქარხნებში, მინდვრებში, მშენებლობებზე.

იუგოსლაველი პიონერებიც, შეძლებისდაგვარად, მონაწილეობენ თავისი რესპუბლიკის ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში.

იუგოსლაველი პიონერების დევიზია: „სამშობლოსათვის, ტიტოსთან ერთად — წინ!“

როგორც მთელ იუგოსლაველ ხალხს, ისე პიონერებსაც მხურვალედ უყვართ თავისი სახალხო გმირი და ბელადი მარშალი იოსიპ ბროზ ტიტო.

მარშან სოფელ ვრაჟოგრანიციდან მარშალ ტიტოსთან სტუმრად მივიდა 26 პიონერი. ტიტომ შემდეგი სიტყვებით მიმართა პიონერებს: „ჩვენ გვინდა შეგიქმნათ თქვენ ისეთი სამშობლო, ისეთი მხარე, რომელშიაც თქვენ იქნებით ბედნიერი და მხიარული.“

ეს ყველაფერი თქვენ დაგრჩებათ და ჩვენ გვსურს, რომ თქვენ ყველაფერი გქონდეთ.

საკმარისი არ არის, რომ თქვენ ილაპარაკოთ სამშობლოს სიყვარულზე, ეს თქვენ უნდა დაამტკიცოთ. თქვენ კი შეგიძლიათ ეს დაამტკიცოთ მხოლოდ იმით, რომ ისწავლით ბეჯითად, მუყაითად შესწავლით ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ისტორიას და როდესაც გაიზრდებით, მთელ თქვენს ძალ-ღონეს შესწირავთ იმას, რომ შექმნათ ნათელი მომავალი თქვენთვის და მომავალი თაობებისათვის.

სიყვარული სამშობლოსადმი უნდა დაამტკიცოთ საქმით.

ახლა კი უნდა ისწავლოთ და, ისწავლოთ იმისათვის, რომ მთელი ძალ-ღონე მოახმაროთ მრავალმხრივ შემოქმედებით საქმიანობას.“

მარშალ ტიტოს ეს სიტყვები პიონერთა კავშირმა საფუძვლად დაუდო მთელ თავის მუშაობას. პიონერები ცდილობენ გახდნენ სწავლის მოწინავენი, ისინი ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უვლიან ავადმყოფებს და დაჭრილებს, რომელნიც ჰოსპიტლებში იმყოფებიან, შველიან მშენებლებს დანგრეული შენობების აღდგენაში, მუშაობენ მინდვრებში, მზრუნველობენ პატარებს.

1947 წლის ზაფხულში იუგოსლაველმა ხალხმა აღნიშნა პიონერთა დღე, პიონერთა მასობრივი დღესასწაულები ჩატარდა იუგოსლავიის ყველა რესპუბლიკაში, გენერალში მოხდა პიონერ-ფიზკულტურელების პირველი შეკრება.

1947 წლის 7 სექტემბერს მარშალი ტიტო შეხვდა პრედვორში დამსვენებელ პიონერთა დიდ ჯგუფს. მარშალმა ტიტომ მათ გამოჰკითხა სწავლის შესახებ, დაისვენეს თუ არა კარგად. პიონერების თხოვნით ტიტომ უამბო მათ იუგოსლაველი ხალხის გამირულ ბრძოლებზე, მიღწევებზე ახალ სახალხო იუგოსლავიაში, სადაც ყველა ადამიანს აქვს შესაძლებლობა იშრომოს თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

პიონერებმა აღუთქვეს მარშალ ტიტოს, რომ ისწავლიან კარგად და სასარგებლონი გახდებიან სამშობლოსათვის.

იუგოსლაველი პიონერები ანამტკიცებენ ძმურ მეგობრობას ალბანეთის, ბულგარეთის, რუმინეთის და საფრანგეთის ბავშვებთან და დემოკრატიულ საბავშვო ორგანიზაციებთან.

მაგრამ განსაკუთრებულ სიყვარულს და ძმურ მეგობრობას თავის წერილებში იუგოსლაველი ბავშვები ამჟღავნებენ საბჭოთა კავშირის პიონერებისა და მოსწავლეებისადმი.

აი ერთი მრავალწერილთაგანი:  
„ძვირფასო რუსო მეგობრებო, პიონერებო!

ჩვენ, იუგოსლავიის პიონერები, ყველაზე უფრო ახალგაზრდები ჩვენს ქვეყანაში, დაულალავად ვსწავლობთ და ვმუშაობთ იმისათვის, რომ დავეხმაროთ ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკას.

ჩვენს V კლასში 20 პიონერია. ჩვენ ვატარებთ შეკრებებს.

გამოვუშვით პიონერთა გაზეთის 5 ნომერი, ვმეცადინებთ სხვადასხვა წრეებში. ვკითხულობთ საინტერესო წიგნებს, მოვაწყეთ ბიბლიოთეკა, ვუსმენთ ჩვენს მასწავლებლებს, რომლებიც გვასწავლიან, თუ როგორ უნდა გავხდეთ ჩვენი სამშობლოს ღირსეული მოქალაქეები.

გაუმარჯოს ჩვენს მარშალს იოსიპ ბროზ ტიტოს!

გაუმარჯოს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს! სოფელი ბატანიცა, იუგოსლავია.“

საბჭოთა პიონერები და მოსწავლეები პალუხობენ თავის ძმებს — გამირულ იუგოსლავიის პიონერებს გულწრფელი, მხურვალე სიყვარულით.

# ბრძოლა



## ორმოში

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სახლში რამდენიმე კატა მუდამ იყო, ვირთაგვა მაინც მომრავლდა. როგორც ახლა მახსოვს, ფარდულთან ფანრიოთ რომ მივიდოდით, ვირთაგვები ხროვებდნენ გარბოდნენ. სწორად ვიგონებდით პატარა ტერიერს — სწავს, რომელიც ერთგულად გვიცავდა. ვირთაგვებისაგან, როცა ფერმაში ვცხოვრობდით. ყოველ ღამეს გადიოდა სანადიროდ და ყოველ დილას ძღვევამოსილად ბრუნდებოდა ნანადირევით: უზარმაზარი, წაბლისფერი ვირთაგვა კბილებით ეჭირა.

„ნეტავი, როგორმე დამაჭერიან ვირთაგვა“ — გავიფიქრე.

ბაზარში შეიძლებოდა სამნაირი ხაფანგის ყიდვა, მაგრამ ამისათვის ფული იყო საჭირო. გარდა ამისა, ხაფანგები კლავდნენ ვირთაგვას, მე კი ისეთი ხაფანგი მინდოდა, რომ ზიანი არ მიეყენებინა მისთვის.

ბოლოსდაბოლოს, თავთ გავაკეთე ხაფანგი პატარა კასრისაგან და დადგი ჩარდახთან, სადაც ყოველ ღამეს თავს იყრიდა უამრავი ვირთაგვა.

დილით, როცა საუზმისათვის ესხდებოდით მაგიდის გარშემო, მამამ მრავალმნიშვნელოვნად მკითხა:

— იმ პატარა კასრში რა ცხოველი გყავს, შვილო?

შემაცხელა. ჩარდახისაკენ გავიქეცი. ხაფანგში იჯდა უშველებელი წაბლისფერი ვირთაგვა და ვაშმაგებით ღრღნიდა რკინის გისოსს. ხაფანგი ჩინებული გამომივიდა. და როცა თვალმოუშორებლივ ვათვალიერებდი ჩემს გაცოფებულ ტუსაღს, უცებ დამებოდა კითხვა: „რა ვუყოთ ვირთაგვას?“ რა თქმა უნდა, ძნელი არ იყო მისი მოკვლა ხაფანგშივე, მაგრამ მე ეს არ მინდოდა.

— შენი ვირთაგვა მიუყვანე ექიმს — უილიამ ბროდის, — მირჩია მეგობარმა, — ის ყველას სთხოვს ცოცხალ საკვებს უღარუნა

გველებისათვის, ორმოში რომ ჰყავს.

— ჩინებული! ასეც მოვიქცევი, ეს იქნება ისევე საინტერესო, როგორც ბრძოლის არენა რომში, ნერონის დროს.

ჩემი კასრი — ხაფანგი, ვირთაგვიანად, გავაგორე სახლისაკენ, რომელშიაც ცხოვრობდა ექიმი ბროდი.

ბროდი კბილის ექიმი იყო. თავისი საქმე მას არ უყვარდა, ბუნებისმეტყველება კი იტაცებდა. ფრინველები, მხეცები, ქვეწარმავალნი, ყვავილები, მცენარეები და ყოველივე — რაც ფრინავდა, ხოხავდა, იზრდებოდა ველურ ბუნებაში, მის ყურადღებას იპყრობდა. ქალაქში ის უცნაურ კაცად მიჩნდებოდა. ავი ენები ლაპარაკობდნენ, რომ ბროდის თავისი უღარუნა გველები ყველაზე მეტად უყვარსო ამ ქვეყნად.

ექიმმა ჩემი ვირთაგვა რომ დაინახა, თვალები გაუბრწყინდა სიხარულისაგან. მას უნდოდა ვირთაგვა ჩაეშვა ორმოში გველებთან, მაგრამ, შეჩერდა. ვირთაგვა ვერ ისვენებდა, ღრღნიდა და ღრღნიდა ხაფანგის რკინის გისოსს.

— აბა, საიდან გავიგო, რომელი აჯობებს? იმის ნაცვლად, რომ გველებმა პირი ჩაიტკბარუნონ, შესაძლებელია ვირთაგვის მსხვერპლი შეიქნან.

ექიმმა ვირთაგვა ყუთში ჩააგდო, სადაც ძველი ჩექმა იდო.

ვირთაგვამ მცირე ხანს იტრიალა ყუთში. მერმე ჩექმა შენიშნა და შიგ შეძვრა. ჩექმის ყელიდან კული უჩანდა.

— მას შეუძლია აწყენინოს ჩემს ტურფებს, — სთქვა უცნაურმა ექიმმა და ვირთაგვას კულში სტაცა ხელი. — ამას მე ვერ დავუშვებ.

ბროდიმ სამკურნალო კაბინეტიდან გამოიტანა ძველი გაზი და ვირთაგვას ამოაგლიჯა ოთხი წინა კბილი — ბრძოლის მთავარი იარაღი. ამის შემდეგ ვირთაგვა დიდ ორმოში

ჩაავდო, სადაც მისი უღარუნა გველები ცხოვრობდნენ.

ჩვენ, ორმოს კიდესთან მივედით და დაძაბვით ვადევნებდით თვალყურს.

ვირთავა ორმოს ბნელ კუთხეში მიიმალა. აქეთ-იქით იყურებოდა, ალბათ თავისი მტრების ძალას თუ სწონიდა.

უღარუნა გველები დაგორგლდნენ, როგორც კი ვირთავის თათების ხმაური და ღრენის მსგავსი ხმა გაიგონეს.

გველები მშვიერები იყვნენ. ოთხმა გოლიათმა მალლა ასწია თავი. წვრილი ენები აათამაშეს და ნელა დაიდვრნენ ვირთავისაკენ. ნახევარი წრე გააკეთეს აუჩქარებლად, მაგრამ ჩეუპოვრად უახლოვდებოდნენ მსხვერპლს.

ბნელ კუთხეში მიმალულ, კბილდამძვრალ ვირთავას პირიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ თვლები ანთებოდა, საოცრად უკრთოდა ბრძოლისათვის გამზადებულს.

გველები ენებს ათამაშებდნენ ჰაერში და ნელნელა მიხობავდნენ და მიხობავდნენ. ვირთავა გაფაციცებით თვალს ადევნებდა გველებს; თავს ხან ერთ, ხან მეორე მხრისკენ მიაბრუნებდა. არ დაძრულა ადგილიდან, ვიდრე გველები ისე ახლოს არ მიხობდნენ, რომ შეეძლოთ ეკბინათ. შაშინ ვირთავამ ისკუბა და ოთხი გველი უკუიქცა. მაღალი ნახტომებით ვირთავა ორმოს სხვა კუთხეში გადავიდა.

გველებმა ისევ გააკეთეს ნახევარი წრე და გახობდნენ ვირთავისაკენ. ენებს იქნევდნენ, თავები მალლა აეწიათ.

კვლავ ჩუმი, გულიდან წამოსული, ღრენის მსგავსი ხმა იყო ვირთავას საბრძოლო პასუხი.

ამჯერადაც არ დანებდა მტრებს, კვლავ გადახტა და ორმოს ბნელ კუთხეში მიიმალა.

ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა.

მაგრამ ერთხელ, როცა გველს თავზე უნდა გადახტომოდა, წამით უნებურად მიუშ-

ვირა მას მკერდი. დადგა საბედისწერო წუთი. სპირალისებურად დაგრავნილი გველის კისერი მყისვე აიშრთა ზევით, მისი მხარე ანი, მომაკვდინებელი კბილები სხეულს ჩაესო.

შხამით სასიკვდილოდ მოწამლული გაბრაზებული ვირთავა უცებ ეცა უახლოეს გველს, უკბილო ყბები ჩაავლო ქერცლით დაფარული გველის კისერს და მთელი ძალღონით ატრიალა, სანამ გველის ძვლებმა ჭახა-ჭუჭი არ დაიწყო. სასიკვდილო კრუნჩხვის დროს გველი ბოლოს იქნევდა. მერმე გაქავდა.

ვირთავა ახლა მეორე გველს ეცა დასახრჩობად. მერმე რაა, რომ გველმა უკბინა? — სულერთია, სიკვდილი ახლოს არის, მაგრამ ცოცხალი მტერს არ ნებდება.

რიგში მესამე უღარუნა გველი იყო. ვირთავას ხტომა უკვე აღარ შეეძლო, უკანა ფეხები დამბლადაცემული ჰქონდა, მაგრამ გამბედაობა ძველებური შერჩენოდა. მტკივან ყბებს არ დაუკარგავთ მტრის დასრჩობის უნარი. ვირთავამ მუცელი გაუხია გველს და შერჩენილი კბილებით ზურგი გადაუკენიტა. და ახლა უკანა ფეხების ათრევით, ვირთავამ მეოთხე გველამდე მიაღწია. ამ გველმაც უკბინა. ვირთავას სიცოცხლის წუთები დათვლილი იყო, მაგრამ გასაოცარი სიმამაცე კვლავ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. ვირთავამ კისერში სტაცა პირი გველს, კბენდა და ახრჩობდა.

გველის უღარუნი თანდათან სუსტდებოდა. ეს იყო მეოთხე გოლიათი გველის უკანასკნელი, სასიკვდილო ამოხვრა... გველმა მოძრაობა შესწყვიტა, — და მისი გამხლართული სხეულის გვერდით მისებრ ჩუმად მიწვა ვირთავა.

ექიმი ბროდი აღფრთოვანებული იყო ვირთავას გამბედაობით, მაგრამ, ამავე დროს, მეტად აღონებდა თავისი ოთხი უღარუნა გველის დაღუპვა.

თარგმანი ანდრო ლომიძისა

(სეტონ-ტომპსონიდან)



# საუბარი მხატვრულ ლიტერატურაზე



ყოველი ერის მოწინავე მხატვრული ლიტერატურა უდიდეს როლს თამაშობს ხალხის ცხოვრებაში; განსაკუთრებით დიდია მისი გავლენა ახალგაზრდობის ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

მხატვრული ნაწარმოები ამრავალფეროვანებს მკითხველის სულიერ ცხოვრებას, აფართოებს მის შეგნებას, ამაგრებს მის ნებისყოფას, აძლევს ყოველივე ცუდს და აყვარებს კარგს. ამრიგად მხატვრული ლიტერატურა მკითხველს აყენებს ცხოვრების ნათელსა და სწორ გზაზე. ლიტერატურის ღრმა აღმოჩენლობით როლს ვენიალურად განსაზღვრავს ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** კლასიკურად მოკვეთილი თქმა: — „**მწერალი — ადამიანის სულის ინჟინერია**“.

მხატვრული სიტყვის ოსტატი, პოეტი იქნება იგი, დრამატურგი თუ ბელეტრისტი, თავისი მხატვრული სიტყვითა და სიმღერებით უდიდეს როლს ასრულებდა და ასრულებს ხალხის ცხოვრებაში.

პოეტის როლისათვის ისტორიულ წარსულში უაღრესად დამახასიათებელია გადმოცემა ბერძენ პოეტ ტირტეოსზე. ამ გადმოცემით, რომელიც მოთხრობილია საბერძნეთის ისტორიაში, სპარტელებსა და მესინელებს შორის დიდი ბრძოლა იყო გაჩაღებული. ამ ბრძოლაში სპარტელები მარცხდებოდნენ, უკან იხევდნენ და დახმარება უთხოვიათ ათენელებისათვის. ათენელებს კი შეიარაღებული ჯარის ნაცვლად ერთადერთი კაცი გაუგზავნიათ და ისიც კოჭლი — პოეტი ტირტეოსი. სპარტელებს სწყენიათ ათენელებისაგან ასეთი უყურადღებობა, მაგრამ მათ განსაკვიფრებლად ტირტეოსს თავისი აღმგზნები სიმღერებითა და შთამაგონებელი ლექსებით მეომრებისათვის ისეთი სულიერი მხნეობა მიუნიჭებია, რომ უკანდახეული სპარტელები გაკაყებულან, აბობოქრებულან, შეტევაზე გადასულან და მესინელები სასტიკად დაუმარცხებიათ. ამრიგად, ამ ერთ კოჭლ პოეტს — ტირტეოსს, თავისი აღმაფრთოვანებელი სიმღერებით და ლექსებით ვინ უწყის რამდენი ასეული თუ ათასეული შეიარაღებული ჯარისკაცის მაგიერობა გაუწყვია და მით გადამწყვეტი როლი უთამაშია ომის ბედზე.

უაღრესად დამახასიათებელია ამ მხრივ ჩვენი დიადი ეპოქის საბჭოთა მწერლების ღირსსახსოვარი გმირული როლი ფამისტური ბნელეთის წინააღმდეგ ბრძოლებში სამამულო ომის პერიოდში. ჩვენი მწერლები თავისი ლიტერატურული გამოსვლებით, წერილებითა თუ საფერონტო ჩანაწერებით, მოთხ-

რობებითა და ლექსებით ცეცხლის ხაზზე თუ ზურგში შემტევ საბრძოლო განწყობილებების ცეცხლს ანთებდნენ ჩვენს მეომრებში, რითაც ჩვენმა მოწინავე საბჭოთა მწერლებმა მრავალი ძვირფასი ფურცელი ჩასწერეს ფამისტურ მოძალადეებზე ჩვენი სახელოვანი გამარჯვების დიდების წიგნში.

საგმირო მხატვრული წიგნი საბჭოთა მეომრებს საბრძოლო იარაღთან ერთად დაჰქონდათ და მათ ცეცხლის ხაზზედაც კი, თავისუფალ წუთებში, გატაცებით კითხულობდნენ. მხატვრული სიტყვის ამ ძალაზე მიგვითითებს აკაკი წერეთლის სიტყვები:

„ხმაღზე უფრო ძლიერად სჭრის პატარა და რბილი ენა, გაჰკვეთს ხვანჯესა უგნურების, მისი ტყვეა ხშირად სმენა“.


მრავალმხრივია მხატვრული ნაწარმოების ზემოქმედება ადამიანზე. უპირველესად იგი მოქმედებს მკითხველზე მასში წარმოდგენილ ადამიანთა ხასიათებითა და სახეებით.

განსაკუთრებით ძლიერია დადებითი პერსონაჟების (მოქმედი პირების) ზეგავლენა მკითხველზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ილ. ჭავჭავაძის ნაწარმოებებიდან — ზაქაროსი და კაკოსი, ეგ. ნინოშვილის მოთხრობებიდან — გიორგის, ბესიას, სიმონა ძალაძის და სხვა პერსონაჟების ზემოქმედება მკითხველთა საზოგადოებრივად აღზრდის საქმეში; ხოლო ალ. ყაზბეგის — ხევის ბერი გოჩა, ელგუჯა; ვაჟა-ფშაველას — კვირია და ლელა; აკაკი წერეთლის — ელიზბარი და შალვა ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ნათელა, ცოტნე დადიანი; ილიას — დიმიტრი თავდადებული, მისივე „მგზავრის ფერილებიდან“ მოხვევე და სხვანი უდიდეს გავლენას ახდენენ მკითხველებზე მშობლიური მიწა-წყლისადმი სიყვარულისა და ეროვნული გრძნობების გაღვივების საქმეში.

დადებით პერსონაჟებთან ერთად უარყოფითი პირების მაგალითებიც სათანადო ზეგავლენას ახდენენ ჩვენზე; ისინი გვაძლუვენ თავიანთი მოქმედებით ცხოვრების სიმახინჯეს, უმსგავს მოვლენებს, „ზედმეტი ადამიანის ტიპებს“.

მხატვრული ნაწარმოები მკითხველზე მოქმედებს აგრეთვე მასში წარმოდგენილი იმ სახელმძღვანელო და მოწინავე აზრებით, რომელნიც მხატვრულ ნაწარმოებებში გვეძლევა ხან როგორც დასკვნა, ხანაც იმ ბრძნული გამოთქმებით, რომლებიც უხვად არის გაფანტული ბევრ მათგანში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გენიალური რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“.





ლიტერატურის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე შემოქმედების საილუსტრაციოდ ძვირფასია ლენინის მიერ გორკის ლიტერატურული შემკვიდრების შეფასება. ლენინი ერთერთ წერილში წერდა: „უეჭველია, რომ გორკი უდიდესი მხატვრული ნიჭია, რომელმაც დიდი სარგებლობა მოუტანა და მოუტანს კვლავ დიდ სარგებლობას მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას“.


მეცნიერული წიგნებისაგან განსხვავებით მხატვრული ლიტერატურა მოქმედებს მკითხველის არა მარტო შეფენაზე, არამედ გრძნობაზედაც და მით ახერხებს გამსჭვალოს მკითხველის მთელი არსება, მისი გრძნობაგონება იმავე განცდებითა და აზრებით, რაც თვით ავტორს აღეგებდა.

მხატვრულ ლიტერატურას დიდი ინტერესით ეცნობოდნენ მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრები: მარქსი და ენგელსი. ისინი თეორიული და პრაქტიკული მუშაობის დროსაც კი ახერხებდნენ ლიტერატურული ცხოვრებისათვის ედევენებისათ თვალყური და არაიშვითად საკუთარი აზრებიც კი გამოეთქვათ ამა თუ იმ ლიტერატურულ სა-

კითხზე. მხატვრული ლიტერატურისადმი ასეთი ყურადღებით უნდა აიხსნას ის სოციალისტური ფაქტი, რომ გენიოსების და სტალინის მეცნიერულ შრომებსა და რეალურ გამოსვლებში ასე ხშირად იხსენებიათ, კერძოდ რუსეთის გამოჩენილი ძველი და ახალი ეპოქის მწერლები: ტოლსტოი, პუშკინი, სალტიკოვ-შჩედრინი, ნეკრასოვი, ჩეხოვი, გორკი, მაიაკოვსკი და სხვანი.

ეს გარემოება კი მიგვიჩივებს იმ უდიდეს სოციალურ და აღმზრდელობით როლსა და მნიშვნელობაზე, რომელსაც, საერთოდ, მხატვრული ლიტერატურა ასრულებს ადამიანის, ხალხის ცხოვრებაში; ამიტომაც, რომ ასეთი გულმოდგინე ყურადღებით ეკიდება პარტია და ხელისუფლება მშობლიური ლიტერატურის სწავლების დიად საქმეს საბჭოთა სკოლებში, რის გამოც საქართველოში ქართული ენა და ლიტერატურა დღეს ასე დამსახურებულად ითვლება უპირატეს და წამყვან საგნად სასწავლო პროგრამებში.

**კარპეზ ღონაძე**



**შ ი ნ ა ა რ ს ი**

ვ. გორგანელი — პარტიზანი დედა (ლექსი) . . . . . 1	გ. ზარდალიშვილი—ნავთობის საბადოები (წერილი) . . . . . 18
ნ. აღნიაშვილი—ძვირფასი საჩუქარი (მოთხრობა) . . . . . 2	დ. შამათავა — დედის ხელთათმანები (რუსულიდან) . . . . . 20
ე. ზედგინიძე — არწივი (მოთხრობა) . . . . . 4	პიონერული მატინანე (გაგრძელება) . . . . . 21
გ. კაჭახიძე — კარგი სწავლით (ლექსი) . . . . . 5	ი. აბაშიძე — საქართველოს ბუნება (ლექსები) . . . . . 23
კომკავშირის XXX წლისთავისათვის (წერილი) . . . . . 6	ბ. ბეთანელი — მწვანე მეგობარი (წერილი) . . . . . 25
ა. ონელი — გაზაფხული მოვიდა (ლექსი) . . . . . 8	ი. მაიოროვა—იუგოსლავიის პიონერები (წერილი) . . . . . 27
კ. გოგიაშვილი — სამახსოვრო შემთხვევა (მოთხრობა) . . . . . 8	ბრძოლა ორმოში (ნარკვევი) . . . . . 29
უიარაღო — სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე (ნაწყვეტი მოთხრობიდან „მამეღუკი“). . . . . 10	კ. ღონაძე — საუბარი მხატვრულ ლიტერატურაზე . . . . . 31
მიხეილ პრიშვინი (წერილი) . . . . . 14	გასართობი . . . . . გარეკანის მე-3 გვ.
მ. პრიშვინი — თეთრი ძეწვეი (მოთხრობა) . . . . . 15	ნორჩ მხატვართა შემოქმედება — გარეკანის მე-4 გვ.
ნორჩ ავტორთა შემოქმედება . . . . . 16-17	

გარეკანზე სევ. კეცხოველის ნახატი „გაზაფხული“

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. კაჭახიძე**  
 სარედაქციო კოლეგია: **ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ვ. ვარდიაშვილი, პროფ. გ. თავაზიშვილი, ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.**

უგ 01602 ტირაჟი 7.000 გამოცემლობის შუკ. № 19 სტამბის შუკ. № 426  
 ლ. პ. ბერიას სახელობის კომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ. № 28. ყურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის ლითოგრაფიაში.



# გ ა ს ა რ თ ო ბ ი



## ჭ ა ლ რ ა კ ი

## შ ა რ ა ღ ა

გ. ნადარეშივილის რედაქციით

ოთხი ორსვლიანი ამოცანა

№ 1

თეთრები: მდდ8, კბ8, მა6, მც8, პც6 (სულ 5)

შავები: მფა8, მდ5 (სულ 2)

№ 2

თეთრები: მფხ7, ლწ6, ეწ5, კწ7, მხ6 (სულ 5)

შავები: მფწ3, ლწ7 (სულ 2)

№ 3

თეთრები: მფა1, ლც4, ედ4, ედ3, პც2 (სულ 5)

შავები: მფც1, ლწ2 (სულ 2)

№ 4

თეთრები: მფდ8, ლტ5, კბ3, პწ4 (სულ 4)

შავები: მფდ6, კა8, პც7 (სულ 3)

\*  
\* \*

სამი სამსვლიანი ამოცანა

№ 1

თეთრები: მფც5, ლე2, კდ7 (სულ 3)

შავები: მფხ7, პპ-ბი: ა6, ა7, ე5 (სულ 4)

№ 2

თეთრები: მფხ1, ლწ7, კწ1, მწ3, მწ4, პპ-ბი: ე4

გ2, ხ2, ხ6 (სულ 9)

შავები: მფხ2, მწ7 (სულ 2)

№ 3

თეთრები: მფწ2, ლე1, კც5, პპ-ბი: ა2, '1, დ3

სულ 6)  
შავები მფც2 (სულ 1).

ორ ასოსაგან შესდგება სიტყვა — ერთგვარი კითხვის გამომსახველი, დაწერე იგი და მიუმატე წყლის მომწოდებელ ორმოს სახელი. ქართველთა მხარე წარმოგიდგება, თავზე დასცქერის კავკასიონი, და მის ბუნების სიმშვენიერეს ტალღის ხმაურით უმღერს რიონი... გადაიკითხე სიტყვა უკუღმა და მიუმატე ბოლოს ხმოვანი, დაგეხატება მეორე მხარე, ზღვის ელვარებით ლაევარდოვანი.

აშთანდილ ციგაპი

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

1

ვერას აკლებს ტყვიით მტერი, ვერც აკავეს ვერაფერი, რკინის ხლართებს, მაგარ სანგრებს, სულ ერთავად სპობს და ანგრევს,— გამოცნობას უნდა წუთი, საჭიროა ასო ზუთი.

2


ტკაცატკუცი! ტკაცატკუცი!.. ტკაციტკუცი! ტკაციტკუცი!.. ხელი არ მოეკიდება, ყველა ფრთხილად ეკიდება.

3

ჩუხჩუხა და პაწაწინა, კერასთან მას აქვს ბინა.

შეადგინა ალ. საჩინოაძე

## რ ე ბ უ ს ი



25/31

ГОСУБЛИЧ. Б. КА

1.12.1941


საქართველოს  
საბჭოთაო  
საზღვაო  
საგარეო  
საქმეთა  
სამინისტროსთვის

# ნორჩ მხატვართა შემოქმედება




პიონერი გოგონა

ნახატი გიორგი კეზელავასი



წიხქვილი ოზურგეთში. ნახატი ჯუანშერ ვასაძისა



რეიდზე. ნახატი ლ. ბაიაღევისა